

მაია ბლიაძე
მანანა სეხნიაშვილი

გეოგრაფია 12

მასწავლებლის წიგნი



სულაკაურის
გამომცემლობა

გეოგრაფია 12
მასწავლებლის წიგნი
ავტორები: მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი

რედაქტორი თინათინ ბაქრაძე
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი თინათინ ბერბერაშვილი

პირველი გამოცემა, 2024
© სულაკაურის გამომცემლობა, 2024
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-536-1

Geography 12
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2024
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

შინაარსი

1. შესავალი.....	5
2. საშუალო საფეხურის სტანდარტი	8
3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.....	11
4. მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის	13
5. რეკომენდაციები შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისთვის.....	29
6. დამატებითი მასალა.....	51
7. შეფასება	68
8. დამატებითი ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტრესურსები	73

1 ● შესავალი

XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მთავარი საგანმანათლებლო ფუნქცია მოსწავლეებისთვის გეოგრაფიული ცოდნის გადაცემა და მისი გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაა.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება: მოსწავლის წიგნი და მასწავლებლის წიგნი.

გეოგრაფიის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, XII კლასის სახელმძღვანელოს მიზანია, მოსწავლემ შეძლოს:

- გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;
- ადამიანების სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება განვითარების ზოგადი კანონზომიერებების დასადგენად;
- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;
- მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური გამოყენება და მართვა.

სახელმძღვანელო მოსწავლეს დაეხმარება:

- შეიმეცნოს ზოგადგეოგრაფიული კანონზომიერებები, საზოგადოებრივ და ბუნებრივ სისტემებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირები;
- სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ სტრუქტურებში სხვადასხვა – ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე.

გეოგრაფიის XII კლასის სახელმძღვანელო მოიცავს 2 თემას:

1. განვითარებული და განვითარებადი სამყარო;
2. გლობალური თანამშრომლობა და კავშირები.

სახელმძღვანელოს შინაარსი – თემის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები – სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ მიზნებს.

სახელმძღვანელოში ტექსტურ, საგაკვეთილო ნაწილს ერთვის მრავალფეროვანი კარტოგრაფიული მასალა (თემატური რუკები), ასევე სქემები, ნახაზები, ცხრილები, დიაგრამები, ინფოგრაფიკები და ილუსტრაციები (ფოტოსურათები, აეროფოტოსურათები). სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ყველა თემას ახლავს ჩანართი, რომელშიც, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულია რუბრიკა „მცველი“, ხოლო თითოეული საკითხი მთავრდება რუბრიკით – „ეს საინტერესოა“.

ყოველ განხილულ თემას ახლავს დავალებები, რომელთა უმეტესობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ანალიტიკურ, კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებასა და საკუთარი პოზიციის გამოხატვას.

დავალებების ბლოკში ცალკე გამოიყოფა „საქართველო და მსოფლიო“. აქ მოცემული დავალებები, საკითხიდან გამომდინარე, საქართველოს უკავშირდება და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაინახოს და განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის ადგილი და პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა საზოგადოებრივ პროცესში. სახელმძღვანელოში, დავალებების გარდა, წარმოდგენილია რუბრიკა – შემთხვევის ანალიზი.

XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში შეტანილი დავალებები და რუბრიკები სწავლების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება და ორიენტირებულია გრძელ-

ვადიან მიზნებზე, ცნებების დამუშავებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე.

ისინი დაეხმარება მოსწავლეებს, განი-
ვითარონ სხვადასხვა სახის რესურსზე მუშა-
ობის უნარი და შეძლონ მიღებული ცოდნის
ცხოვრებაში გამოყენება. სახელმძღვანელო
ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის
დინამიკურად წარმართვას, ორიენტირებული
იქნება ხარისხიანი ცოდნის მიღებასა და არა
მასალის ზედაპირულ დასწავლაზე.

XII კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს
ახლავს დამხმარე მეთოდური სახელმძღვანე-
ლო – მასწავლებლის წიგნი. მასში მოცემულია
შემდეგი ინფორმაცია:

- თემებისა და შეფასების კრიტერიუმების დამაკავშირებელი ცხრილები;
- შემოქმედებითი დავალებები და მათი შეს-
რულების ეტაპები;
- სტანდარტის შედეგების მიღწევისა და წიგნის
შინაარსის ურთიერთკავშირის რუკა;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფა-
სების სტრატეგიები;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები.

მასწავლებლის წიგნი დაეხმარება პედაგო-
გებს გაკვეთილის ეფექტიანად დაგეგმვასა და
საინტერესოდ წარმართვის პროცესში.

ვიმედოვნებთ, მოცემული სახელმძღვანე-
ლოს დახმარებით მოსწავლე მიიღებს ცოდნას
იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მას მომავალ
პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგება და ხელს
შეუწყობს თავისი ქვეყნისა და მთლიანად სამ-
ყაროს მიმართ ინტერესის გაღვივებასა და
გეოგრაფიული აზროვნების, ასევე სამოქა-
ლაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში, ხოლო
მასწავლებლის წიგნი დაეხმარება გეოგრაფიის
პედაგოგებს სწავლა-სწავლების პროცესის წარ-
მატებით წარმართვაში.

XII კლასის „გეოგრაფიის“ მოსწავლის წიგნი 2 თემისა და 17 საკითხისგან შედგება. სახელ-
მძღვანელოში წარმოდგენილია რუბრიკები:

გაიხსენე

1. რა როლს ასრულებენ წყლის რესურსები, განსაკუთრებით კი მდინა-
რები, დედამიწაზე მიმდინარე ბუნებრივ პროცესებში?
2. რა მნიშვნელობა აქვს მდინარეებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ
განვითარებასა და მოსახლეობის საქმიანობაში?

აქტივი

ეკონომიკური საქმიანობის
სუბიექტების, იურიდიული
და ფიზიკური პირების
ნებისმიერი საკუთრება.

**2. ლექსიკონი – ახა-
ლი ტერმინების, უცხო
სიტყვების განმარტება**

**1. გაიხსენე – კითხვები ნასწავლი მასალიდან
წინარე ცოდნის გასააქტიურებლად**

დავალება

11. სურ. 8.4-ისა და მსოფლიოს პოლიტიკური რუკის (დანართი 1)
გამოყენებით ახსენი, როგორია თანამედროვე შრომითი მიგრა-
ციების ძირითადი მიმართულებების გეოგრაფიული სურათი და
იმსჯელე გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე.

**3. დავალებები – მათი უმეტესობა სრულდება
გაკვეთილზე, შემოქმედებით დავალებაზე
მუშაობის დროს, ხოლო ნაწილს მოსწავლეები
საშინაო დავალების სახით ასრულებენ.**

ეს საინტერესოა

- ♦ მონაკოს ოკეანოგრაფიული მუზეუ-
მი 1910 წელს მონაკოს პრინცმა ალ-
ბერ I-მა დააარსა.
- ♦ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ მსოფ-
ლიო ოკეანის ბიოლოგიური რესურ-
სები სრულიად საკმარისია 20 მლრდ
ადამიანის გამოსაკვებად.
- ♦ გამოთვლებით დადგენილია, რომ
ოკეანეში ყოველწლიურად 1,5 მლნ
ტონამდე ნავთობი იღვრება, მაშინ
როცა 25 მლნ ტონა ნავთობი სრუ-
ლიად საკმარისია, რომ მთელი მსოფ-
ლიო ოკეანის ზედაპირი 0,1 მმ სისქის
ნავთობის აკით დაიფაროს.

**4. ეს საინტერესოა – ამ ნაწილში მოსწავლეები
გაეცნობიან დამატებით ცნობებს გაკვეთილში
მოცემულ მასალასთან დაკავშირებით.**

საქართველო და მსოფლიო

იმსჯელებ, რა როლს ასრულებს საქართველო მსოფლიო ოკეანის დაბინძურებაში.

შემთხვევის ანალიზი 1

გაცანი ინფორმაციას და უბასუხე კითხვებს:

პოლიონეთში, ბოლივიასა და რუსეთში გატარებული „შოკური თერაპიის“ პოლიტიკის ერთ-ერთი ავტორი, გავრთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მრჩეველი მდგვრადი განვითარების საკითხებში, ეკონომისტი ჯეფრი დევიდ საქი ქვეყნების სიღარიბის შვიდ მიზეზს გამოყოფს:

1. „სიღარიბის ხაფანგი“: როცა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად ქვეყანას საკუთარ ეკონომიკაში ინვესტირება არ შეუძლია, ის „სიღარიბის ხაფანგში“ რჩება;
2. მცდარი ეკონომიკური პოლიტიკა: როცა ქვეყანა უარს ამბობს საბაზრო ურთიერთობებსა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვაზე;
3. ფინანსური გადახდისუუნარობა: როცა მოუწესრიგებელია სახელმწიფოს ხარჯები, დაბალია გადასახადები, ქვეყანა ომშია ჩაბმული;
4. ცუდი მმართველობა: როცა მძვინვარებს კორუფცია, ქვეყანას მართავენ არაკომპეტენტური პირები და მართვა არაეფექტურია;
5. არახელსაყრელი გეოგრაფიული მდგომარეობა, რაც გამოიხატება ბუნებრივი რესურსების სიმწირეში, ცენტრალური სატრანსპორტო სისტემების სიშორეში, ცუდ კლიმატურ პირობებში;
6. კულტურული ბარიერები, რაც გამოიხატება გენდერულ უთანასწორობასა და დისკრიმინაციაში;
7. გეოპოლიტიკა, ანუ ურთიერთობები მეზობლებთან, მოკავშირეებთან თუ მონინალმდეგებთან, ქვეყნის კოლონიური ისტორია.

კითხვები

- ა. ჩამოთვლილთაგან რომელი მიზეზი მიგაჩნია ყველაზე მნიშვნელოვანად და უმნიშვნელოდ? შეადგინე მიზეზების რანჟირების სკალა ყველაზე უმნიშვნელოდან ყველაზე მნიშვნელოვანისკენ და ახსენი, რატომ დალაგე ისინი ამ თანმიმდევრობით.
- ბ. როგორ ფიქრობ, არის თუ არა ქვეყნის პრობლემა ცალკეული ადამიანების სიღარიბე?
- გ. იმსჯელე, კიდევ რა მიზეზებმა შეიძლება განაპირობოს ქვეყნების სიღარიბეში დარჩენა. პასუხი დაასაბუთე.

6. შემთხვევის ანალიზი – კონტექსტ-მაგალითის გაცნობა და გაანალიზება, კითხვებზე პასუხის გაცემა და დასკვნის გამოტანა.

5. საქართველო და მსოფლიო – დავალებები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს.

ჩანართი
ურბანიზაციის მცველი



გაეროს განსახლების პროგრამა ხელს უწყობს ძირულ ცვლილებებს ქალებისა და დასახლებულ მოსახლეობის, პოლიტიკოსთა და კავშირდამდგომარეობის მართვით და მართვითა და ადგილობრივი მმართველების გვერდობაში.

გაეროს განსახლების პროგრამა

გაეროს განსახლების პროგრამის (Governance Council of the United Nations Human Settlement Programme – UN-HABITAT) ძირითადი მიზანია ურბანული განვითარების ხელშეწყობა, სოციალურად და გარემოს დაცვის კუთხით მდგრადი დასახლებების შექმნა, ყველა ადამიანის, მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირებისა და მიგრანტების შესაბამისი თავშესაფრით უზრუნველყოფის მიღწევა.

ორგანიზაციის მმართველი საბჭო 58 წევრი სახელმწიფოსგან შედგება და განსახლების პროგრამის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს.

განსახლების პროგრამა გაეროში ურბანიზაციისა და დასახლების საკითხების საკოორდინაციო ცენტრს წარმოადგენს და მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაში საქმიანობს, ორგანიზაცია მუშაობს პარტნიორობით ინკლუზიური, უსაფრთხო, გამძლე და მდგრადი ქალაქებისა და თემების შესაქმნელად. ის ხელს უწყობს ურბანიზაციის, როგორც დადებით გარდამქმნელ ძალას

ადამიანებისა და თემებისთვის, რაც ამცირებს უთანასწორობას, დისკრიმინაციას და სიღარიბეს. ორგანიზაციის საქმიანობა მიმდინარეობს ითხი მთავარი მიმართულებით, რომლებიც შეიძლება ასე შეფასდეს: ფიქრი, კეთება, გზაჯარება და თანამშრომლობა.





<https://unhabitat.org>

თუ გინდა შეტყობინებები გაეროს განსახლების პროგრამის შესახებ, ეწეუ ვებგვერდს.

7. ჩანართი – მოსწავლეებს აცნობს განხილულ საკითხთან დაკავშირებულ დარგებსა და პროფესიებს, ორგანიზაციებს, მეცნიერებსა და მკვლევრებს, ცნობილ და უცნობ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა პრობლემის შესწავლისა და გადაწყვეტის პროცესში.

2. საშუალო საფეხურის სტანდარტი

შესავალი

საზოგადოებრივი მეცნიერებები საშუალო საფეხურზე გულისხმობს ისტორიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას. სწავლა-სწავლებისთვის შერჩეულია ისეთი თემები და საკითხები, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის და შეიძლება დამუშავდეს სამივე საგნობრივი მიმართულების პერსპექტივიდან.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღინერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლა თავად ირჩევს.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში განერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგალითად, გეო.საშ.1.:

„გეო.“ – მიუთითებს საგანს „გეოგრაფია“;

„საშ.“ – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

„1“ – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე

შედეგების ინდექსები	მოსწავლე უნდა შეძლოს:	სამიზნე ცნებები:
გეო.საშ. 1.	გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლიტოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1, 2, 3, 4) მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3, 4)
გეო.საშ. 2.	ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	
გეო.საშ. 3.	მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	მდგრადი განვითარება (შედეგები 1, 2, 3, 4)
გეო.საშ. 4.	მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	

სასწავლო თემაები
1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები
2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური გამოწვევები და ცვლილებები
3. კლიმატის გლობალური ცვლილება
4. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
5. განვითარებული და განვითარებადი სამყარო
6. გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლამ უნდა დაიცვას თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა.

XII კლასი

თემა: განვითარებული და განვითარებადი სამყარო
<p>თემა გულისხმობს განვითარებულ და განვითარებად სამყაროში მოსახლეობის განსახლებისა და დასახლების ტიპების, სამეურნეო საქმიანობის განსხვავებულობის მიზეზებისა და შედეგების დადგენას და კვლევას. ქვეყნების შედარებას სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით და განვითარების სხვადასხვა დონის დადგენას უთანასწორობის შესამცირებლად.</p>
<p>სარეკომენდაციო საკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ურბანული და სამრეწველო ლანდშაფტები; 2. ურბანიზაცია; 3. ქალაქის იერ-სახე, ფუნქციები, იერარქია, დაგეგმარება; 4. აგლომერაცია, კონურბაცია, მეგა და ჰეგია ქალაქები; 5. გლობალური ინდექსები; ჰგი და ჯინის ინდექსი; 6. ქალაქური პრობლემები; 7. უთანასწორობის შემცირება და აღმოფხვრა.
<p>თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:</p> <p>გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაანალიზოს გეოგრაფიული როლი განვითარებული და განვითარებადი სამყაროსთვის დამახასიათებელი ურბანული და სამრეწველო ლანდშაფტების ჩამოყალიბებასა და სახეცვლილებაში; <p>მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • განვითარებულ და განვითარებად სამყაროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების (ურბანიზაცია, ქალაქის იერ-სახე, ფუნქციები, იერარქია, დაგეგმარება, აგლომერაცია, კონურბაცია, მეგა და ჰეგია ქალაქები) დაკავშირება ეკონომიკურ განვითარებასთან (ჰუმანური განვითარების ინდექსი, ჯინის ინდექსი) <p>მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • განვითარებული და განვითარებადი სამყაროსთვის დამახასიათებელ მოვლენებსა და პროცესებზე მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით მსჯელობა (ქალაქური პრობლემები, უთანასწორობის შემცირება და აღმოფხვრა).

თემა: გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

თემა გულისხმობს მსოფლიო მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების მიზეზებისა და შედეგების დადგენას და გაანალიზებას, რემიტანსებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასებას გლობალურ დონეზე. საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაანალიზებას ქვეყნების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

სარეკომენდაციო საკითხები:

1. სანაპირო ზოლის ერთობლივი ათვისება, ტრანსნაციონალური მდინარეები;
2. რემიტანსები და ტრანსნაციონალური კომპანიები;
3. კოფის ინდექსი, გლოკალიზაცია, გლოსალიზაცია;
4. საერთაშორისო ორგანიზაციები;
5. კრიტიკული ეკორეგიონები და დაცული ტერიტორიები;
6. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა;
7. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება;
8. „მწვანე პოლიტიკა“.

თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:

გეოგრაფიული გარსი – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გაანალიზოს, როგორ ხდება გლობალური თანამშრომლობის (მაგ., სანაპირო ზოლის ერთობლივი ათვისება, ტრანსნაციონალური მდინარეები) პირობებში გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების (მთლიანობა) გათვალისწინება;

მოსახლეობა და მეურნეობა – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- განვითარებულ და განვითარებად სამყაროში მიმდინარე პროცესების (მაგალითად, რემიტანსებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის) დაკავშირება ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან (კოფის ინდექსი, გლოკალიზაცია, გლოსალიზაცია) და საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგალითად, გაერო, ნატო, ევროკავშირი) მნიშვნელობის გააზრება.

მდგრადი განვითარება – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- გლობალურ თანამშრომლობასა და კავშირებზე მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით მსჯელობა (კრიტიკული ეკორეგიონები და დაცული ტერიტორიები, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა, მსოფლიო ოკეანის დაბინძურება) და „მწვანე პოლიტიკის“ მნიშვნელობის გააზრება.

3. სახელმძღვანელო სესიების სია

ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

თემებისა და საკითხების დასახელება	გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე				სამიზნე ცნებები და ცნების მკვიდრი წარმოდგენები: გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1, 2, 3, 4) • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროს (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ნოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;
	გეო.საშ.1. გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროს (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ნოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;	გეო.საშ.2. ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;	გეო.საშ.3. მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;	გეო.საშ.4 მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა.	
	1	2	3	4	
თემა 1. განვითარებული და განვითარებადი სამყარო					
1. ურბანული და სამრეწველო ლანდშაფტები					მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3, 4) • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს. • მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში. • სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.
2. ურბანიზაცია					
3. ქალაქი: ფუნქციები, იერარქია, იერსახე, დაგეგმარება					
4. აგლომერაცია, კონურბაცია, მეგა და ჰეგეონი ქალაქები					
5. ქალაქური პრობლემები					
6. გლობალური ინდექსები					
7. უთანასწორობის შემცირება					

	1	2	3	4	
თემა 2. თანამშრომლობა და კავშირები					მდგრადი განვითარება (შედეგები 1,2,3,4) <ul style="list-style-type: none"> • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს; • მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.
8. ტრანსნაციონალური კომპანიები და რემიტანსები					
9. საერთაშორისო მდინარეები					
10. სანაპირო ზოლის ერთობლივი ათვისება					
11. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება					
12. კოფის ინდექსი, გლოკალიზაცია (გლოსალიზაცია)					
13. საერთაშორისო ორგანიზაციები					
14. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობა					
15. დაცული ტერიტორიები					
16. კრიტიკული ეკორეგიონები					
17. მწვანე პოლიტიკა					

4. მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – შემთხვევის ანალიზი (კონტექსტ-მაგალითი, ქეისი) და დილემა

მსჯელობა საკითხზე, რომ ადამიანს ახალ ეპოქაში ახალი კომპეტენციები/უნარები დასჭირდებოდა, ჯერ კიდევ XX საუკუნეში დაიწყო. ბიზნესორგანიზაციებმა რამდენიმე ათეული წლის წინ შექმნეს კოალიცია „პარტნიორობა XXI საუკუნის სწავლებისთვის“, რომელმაც განსაზღვრა კომპეტენციათა სამი ძირითადი მიმართულება:

- **სასწავლო უნარები (Learning skills):** კრიტიკული აზროვნება; კრეატიული აზროვნება; თანამშრომლობა.
- **ციფრული წიგნიერების უნარები (Literacy skills):** ინფორმაციული წიგნიერება; მედიანიგნიერება; ტექნოლოგიური წიგნიერება.
- **ცხოვრებისთვის საჭირო უნარები (Life skills):** მოქნილობა; ლიდერობა; ინიციატივა; პროდუქტიულობა.

XXI საუკუნის გამონწვევებზე საპასუხოდ, მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში ისეთი სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენება, რომლებიც კომპლექსურად განავითარებს ზემოთ ჩამოთვლილ უნარებს. სწავლა-სწავლების ასეთი მეთოდი ძალიან ბევრია, თუმცა მათ შორის გამოირჩევა **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი**, როგორც უმნიშვნელოვანესი სწავლა-სწავლების პროცესში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის აქტიური სწავლების მეთოდი, რომელიც მოსწავლეზეა ორიენტირებული. ის ეყრდნობა სწავლებისადმი კონსტრუქტივისტულ მიდგომას, კონსტრუქტივისტული მიდგომები კი, თავის მხრივ, ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის მზაობაზე, ინტერესებსა და სწავლის სტილზე.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება პრობლემური საკითხის, ამოცანისა და სიტუაციის ფორმულირებით (მასწავლებლის მიერ) და გადაწყვეტით (მოსწავლის მიერ) ვლინდება. სწავლის პროცესში პრობლემური სიტუაცია გულისხმობს, რომ სუბიექტს სურს გადაჭრას რთული პრობლემები, მაგრამ მას აკლია მონაცემები და თავად უნდა ეძებოს დამატებითი ინფორმაცია. ამ ტიპის აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობის, ინიციატივის, დამოუკიდებლობისა და კრეატიულობის გამოვლენას; ავითარებს ინტუიციასა და დისკურსიულ აზროვნებას; ასწავლის სხვადასხვა სამეცნიერო და პრაქტიკული პრობლემის გადაჭრის ხელოვნებას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მიზანია მოსწავლეების შემეცნებითი დამოუკიდებლობის ჩამოყალიბება, მათი ლოგიკური, რაციონალური და კრიტიკული აზროვნების განვითარება და მოიცავს არა მხოლოდ მეცნიერული ცოდნის შედეგების ათვისებას, არამედ ცოდნის მიღების გზას და მისი გამოყენების მეთოდებს.

ამოცანა მაშინ იქცევა პრობლემად, როდესაც მისი გადაჭრის გზები იმთავითვე უცნობია. გარკვეული ტიპის შეკითხვები („როგორ შეიძლება..?“ „შეიძლება თუ არა..?“) იმის მანიშნებელია, რომ სიტუაცია პრობლემურია. თუმცა, მარტო ამგვარი შეკითხვის არსებობა არ არის საკმარისი, რომ სიტუაცია პრობლემურად ჩაითვალოს. ერთი და იგივე საკითხი


შეიძლება ერთი მოსწავლისთვის პრობლემა იყოს, მეორისთვის კი - არა. ყოველივე ეს დამოკიდებულია პრობლემური სიტუაციის/ამოცანის მთელ რიგ თავისებურებებზე.

პრობლემად ითვლება ისეთი სიტუაცია, რთული საკითხი, ამოცანა, რომელიც შესწავლას და მოგვარებას მოითხოვს. პრობლემების გადანყვეტის შესაძლებლობა დამოკიდებულია მისი გააზრების უნარზე – თუ რა არის პრობლემის არსი, რა გზებით უნდა გადავჭრათ ის და რა მიზანს უნდა მივალნიოთ მისი გადაჭრის შედეგად. პრობლემის მოგვარება გულისხმობს განსაზღვრული პრობლემის ამოსახსნელი პირობების, ხერხების ან დამხმარე საშუალებების მოფიქრებას კრიტიკული და შემოქმედებითი გზით. პრობლემის მოგვარება რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა, რომელიც ცოდნასა და ლოგიკურ აზროვნებას ეფუძნება.

პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები უნდა იყოს საინტერესო, რეალური ან რეალობასთან მიახლოებული და არარუტინული, რომელთა ამოხსნაც მოსწავლისაგან მოითხოვს ახალი, არასტანდარტული სტრატეგიების ძიებას. ამგვარი ამოცანის ამოხსნა ეფუძნება იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია სხვადასხვა შინაარსისა და ცნების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტეგრირება. ამ დროს კი შესაძლებელია თვისებრივად ახალი ცოდნის მიღება. პრობლემური ამოცანები ასევე შეიძლება იყოს ინტერდისციპლინარული ხასიათისაც, როდესაც ამოხსნის გზა არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე დისციპლინით ან მიმართულებით.

პრობლემის გადასაწყვეტად ყოველთვის საჭიროა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ერთიანობა, რადგან პრობლემიდან თავის დაღწევა არ შეიძლება იმავე, ძველებურ აზროვნებაზე დაყრდნობით, რომელიც, შესაძლოა, თავად არის პრობლემის გამომწვევი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება



პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახვოს საკითხი/პრობლემა, რომელიც სხვადასხვა მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას, რომელიც საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და მათგან ოპტიმალურის შერჩევას.

პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას ახასიათებს სამი ძირითადი ასპექტი:


- სწავლა ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში;
- მასწავლებელი არის „ფასილიტატორის“ როლში, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და ხდება აქტიური შემომცნებელი.

როდესაც მასწავლებელი გეგმავს პრობლემაზე ორიენტირებულ გაკვეთილს, მან

უნდა გაითვალისწინოს, რომ პრობლემის გადასაჭრელად მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს ნაცნობი სტრატეგია (კონკრეტული ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომელსაც ის პირდაპირ გამოიყენებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება დაყენებული საკითხი ან სიტუაცია პრობლემურად. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემის შინაარსი არ უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის მიერ სკოლაში ან რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებას, ან ასაკით განპირობებულ კოგნიტიურ შესაძლებლობებს.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების იდეა ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ტიპის გაკვეთილისა, უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტიდან.

პრობლემის გადაჭრის პროცესებს თანმიმდევრობის ან ციკლის საშუალებით აღწერენ, რომლის ფართოდ გავრცელებულ ვარიანტებია



პრობლემის გადაჭრის ეტაპებია:

- პრობლემის დასმა/განსაზღვრა – მოსწავლეების მიერ პრობლემის გააზრება და ფორმულირება:

ამ ეტაპზე მოსწავლეები ეცნობიან დავალების შინაარსს და მასზე დაყრდნობით განმარტავენ პრობლემის არსს.

შეკითხვების – რა, სად, როგორ, როდის, ვისთან და რატომ – დასმა, რათა მოკლედ აღინეროს პრობლემა (ტექსტის, დიაგრამის, ფორმულის, ცხრილის გაგება; სხვადასხვა წყაროს ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.);

ერთ-ორი წინადადებით მათ უნდა შეძლონ იმის აღწერა, თუ რის გადაწყვეტას, რაზე პასუხის გაცემას, რის აღმოჩენას თუ მიცემას ითხოვს დავალება. პრობლემის ფორმულირება შეიძლება საჭიროებდეს გადახედვას, თუ წარმოდგენილი სიტუაციის შესახებ ახალი ინფორმაცია გახდება ცნობილი.

- პრობლემის ანალიზი – პრობლემის დანაწევრება და ნაწილების პრიორიტეტებად დალაგება: მოსწავლეები ყოფენ პრობლემას შემადგენელ ნაწილებად – ერთმანეთთან დაკავშირებულ ქვეპრობლემებად. ალაგებენ ამ ნაწილებს პრიორიტეტების მიხედვით: გამოყოფენ ძირითადსა და მეორეხარისხოვანს, პირველ რიგში და მომდევნო ეტაპებზე გადასაჭრელ ამოცანებს.

- საჭირო ინფორმაციის შეგროვება – პრობლემის შესახებ არსებული ინფორმაციისა და რესურსების მოძიება, ორგანიზება: მოსწავლეები მოიძიებენ და შეარჩევენ შესაბამის ინფორმაციას პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

ისინი ჩამოთვლიან ან ჩამონერენ, რა არის ცნობილი მოცემული პრობლემის გარშემო; ცალკე ჩამონერენ იმ კითხვების ან საკითხების სიას, რომლებზე პასუხებიც მათ ჯერ არ იციან, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ პრობლემის გადასაჭრელად, ანუ კიდევ „რისი ცოდნაა საჭირო?“. ეს კითხვები მოითხოვს მეტი ინფორმაციის მოძიებას, კვლევას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ონლაინ, ბიბლიოთეკაში ან სადმე სხვაგან, კლასგარეშე სიტუაციაში.

- ალტერნატიული გზების ძიება – პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზის შესახებ მსჯელობა – მოსწავლეები თავისუფლად, ყოველგვარი კრიტიკის გარეშე გამოთქვამენ იდეებს, მათ შორის, მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებულ ორიგინალურ, მოულოდნელ და არასტერეოტიპულ იდეებსაც:

ჩამონერენ, თუ რა არის საჭირო პრობლემის გადასაჭრელად, მოქმედებებს, საჭირო ღონისძიებებს (მაგალითად, ექსპერტების გამოკითხვა, ონლაინ მონაცემების მოპოვება, ლაბორატორიაში ვიზიტი და სხვ.), გამოთქვამენ ჰიპოთეზებს.

- გადაჭრის ოპტიმალური გზის შერჩევა – პრობლემის გადაჭრის განხილული გზებიდან ერთ-ერთის შერჩევა გამოსაცდელად:

მოსწავლეები აფასებენ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა გზას სხვადასხვა პერსპექტივიდან. ისინი განსაზღვრავენ თითოეულ სტრატეგიასთან დაკავშირებულ რისკებს, შეარჩევენ უფრო რეალურ და მისაღებ სტრატეგიას/გზას, ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს.

- პრობლემის გადაჭრის დემონსტრირება – შერჩეული გზის გამოყენებით პრობლემის გადაჭრის ჩვენება ან პრობლემის გადაჭრის შესახებ გამოტანილი დასკვნის წარმოდგენა:

მოსწავლეები გამოცდიან პრობლემის გადაჭრის შერჩეულ სტრატეგიას/გზას (საჭიროების შემთხვევაში დაუბრუნდებიან შესაბამის ეტაპს და იქიდან ხელახლა იწყებენ პრობლემის გადაჭრის ციკლის გავლას), მოამზადებენ ანგარიშს, აჩვენებენ პრობლემის გადაჭრის მეთოდს, ან წარმოადგენენ დასკვნას პრობლემის გადაჭრის შესახებ.

სწავლების ორივე სტრატეგიის გამოყენებისას პრობლემა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით:

არჩევანის გაკეთება: მოსწავლეს ხშირად უწევს არჩევანის გაკეთება გეოგრაფიული კვლევის/თემის წარმოსადგენად, ანუ რა ფორმით იქნება მიზანშეწონილი მისი შედეგების (სქემა, დიაგრამა, რუკა, გეოგრაფიული თემა/რეფერატი/ესეი) წარმოჩენა; გეოგრაფიული დავალების შესრულებისას, როდესაც არჩევანი გასაკეთებელია რეგიონზე, ქვეყანაზე თუ გეოგრაფიულ პრობლემაზე, საკითხის/თემის მოსამზადებლად მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს საკუთარი ინტერესებიდან, დამოკიდებულებებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე.

შემოქმედებითი მიდგომის გამოყენება /გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება: მოსწავლეს გეოგრაფიის გაკვეთილზე უწევს ისეთი აქტივობების შესრულება, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას, ანუ მან უნდა გადაწყვიტოს, რა საშუალებები, წყაროები, რესურსები უნდა გამოიყენოს გეოგრაფიული კვლევისას და რა ფორმით წარმოდგენილი შედეგებით აღიქმება მისი კვლევა უკეთესად;

გეოგრაფიული დავალების შესრულებისას მოსწავლეებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ საკუთარი ინტერესებიდან, დამოკიდებულებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე და უნდა განსაზღვრონ, თუ რა ხერხითა და მეთოდებით ჩაატარებენ გეოგრაფიულ კვლევას.

შედარება-შეპირისპირება: ქვეყნების, რეგიონების, რაიონების თუ პრობლემების, მოვლენებისა და პროცესების სოციალური, ეკონომიკური და ბუნებრივი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მოსწავლეს ხშირად უწევს ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების და მათი მაჩვენებლების შედარება-შეპირისპირება. სწორედ ამ ტიპის ოპერაცია იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა დაადგინონ მსგავსება თუ განსხვავებები, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება კონკრეტული გეოგრაფიული ანალიზის ჩატარება, რაც, თავის მხრივ, პრობლემის გადაჭრისკენ არის მიმართული.

დაკავშირება – კანონზომიერების აღმოჩენა: გეოგრაფია, თავისთავად, არის საგანი, რომლის სწავლაც კანონზომიერების გააზრების გარეშე შეუძლებელია. კანონზომიერებები გეოგრაფიაში სხვადასხვა ტიპისაა – ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების, მოსახლეობის და დასახლებების, მეურნეობისა და რესურსების სივრცეში განაწილება გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. იმისთვის, რომ ეს კანონზომიერებები არ იყოს მხოლოდ გაზეპირებული, მოსწავლეს ახალი სტანდარტის მიხედვით, გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე, თვითონ უწევს ამ კანონზომიერებების დადგენა.

შეუთავსებლობის აღმოფხვრა: შესაძლებელია მოსწავლეთათვის შემდეგი დავალების მიცემა: რუკაზე არასწორად დატანილი ინფორმაციის აღმოჩენა და შესაბამისად, უზუსტობის აღმოფხვრა/შესწორება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეს უწევს რაიმე მოვლენის გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და ანალიზიდან გამომდინარე, არასასურველი შედეგის შემთხვევაში, მათი გაუმჯობესების გზების დასახვა, ანუ შეუთავსებლობის აღმოფხვრა.

ობიექტზე/პრობლემაზე/მოვლენაზე შეხედულების შეცვლა: სხვადასხვა ობიექტზე, მოვლენაზე ან პროცესზე შეხედულების შეცვლას ხელს უწყობს ისეთი ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლეს განსხვავებული ვერსიებიდან უწევს ინფორმაციის შეჯერება და ზოგჯერ შეხედულების შეცვლაც კი. მოსწავლე ალტერნატიული ვარიანტებიდან ადგენს მისთვის მისაღებს და კლასში, დისკუსიის შედეგად, შესაძლოა მან შეიცვალოს კიდევ თავისი შეხედულება.

კვლევა-ძიება: გეოგრაფიაში ხშირად ტარდება კვლევები, რომლებიც შეიძლება ეყრდნობოდეს ან სავსე მუშაობის მონაცემებს, ან სხვა გზით მოძიებულ ინფორმაციას. კვლევა შეიძლება ჩატარდეს, მაგალითად, დემოგრაფიული მდგომარეობის შესასწავლად, კანონზომიერებებისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების დასადგენად როგორც ფიზიკურ, ასევე საზოგადოებრივ გეოგრაფიაში.

შემოქმედებითი მდგომის გამოყენება/გადაწყვეტის ორიგინალური გზის ძიება: ნებისმიერ გეოგრაფიულ კვლევაში/პროექტში პრობლემებზე მუშაობისას მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოიყენონ ორიგინალური შემოქმედებითი გზები, როდესაც მათ არ ეძლევათ კვლევის/პროექტის წარმართვის წინასწარ მოცემული ჩარჩოები და მიმართულებები.

პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას ზოგჯერ არადამაკმაყოფილებელი შედეგები და ნეგატიური ემოციები მოაქვს, თუ მოსწავლეები არ არიან მზად ამისთვის განვითარებისა და ცოდნის დონის თვალსაზრისით.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მეტ დროს მოითხოვს, ამიტომ რეკომენდებულია მისი გამოყენება დიდაქტიკური ამოცანების შესაბამისად და სწავლების სხვა აქტივობებთან ერთად.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სახეები

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სახეებია:

დილემათი სწავლება ანუ არჩევანის გაკეთება/გადაწყვეტილების მიღება და ქვისებით სწავლება ანუ შემთხვევის (კონტექსტ-მაგალითის) განხილვა და ანალიზი.

დილემათი სწავლება

დილემა დასკვნა ან მსჯელობაა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია. ასევე გადატანითი მნიშვნელობით დილემას უწოდებენ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი იძულებულია, მისთვის არასასურველი შესაძლებლობიდან აირჩიოს ერთ-ერთი.

დილემის შინაარსი შეიძლება შეეხებოდეს გარემოს დაცვას, ბუნებრივ კატასტროფებს, ადამიანის უფლებებს, ბიზნესს, გენდერულ თანასწორობას, ჯანსაღ კვებას, ქიმიურ ნარჩენებს და ა.შ.

დილემა არის მდგომარეობა, როდესაც ჩვენ ვდგავართ ორი ალტერნატიული არჩევანის წინაშე და უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. მაგრამ რომელიც უნდა ავირჩიოთ, შედეგები ჩვენთვის მაინც არასასურველი იქნება, ან ვერ გავამართლებთ მნიშვნელოვან მიზეზთა გამო. ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად:

- მორალური ან რელიგიური მოვალეობები;
- ჩვენი პიროვნებისადმი მოლოდინი (როგორ მოქმედებებს მოელიან სხვები ჩვენგან, როგორც მასწავლებლისგან, სტუდენტისგან, ძმისგან, მეგობრისგან ან პრეზიდენტისგან);
- კანონით დაკისრებული ვალდებულებები (უფლებები და მოვალეობები);
- ადამიანის უფლებებისადმი პატივისცემა;
- პირადი კავშირები ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან;
- ფინანსური მიზეზები (ფულის დაზოგვის საჭიროება, მოგების მიღების შესაძლებლობა);

- პრაქტიკული მიზეზები (მხარს უჭერ ან ეწინააღმდეგები რთული პრობლემის ამგვარად გადაწყვეტას).

როდესაც დილემის წინაშე ვდგავართ, ჩვენ ვაწყდებით კონფლიქტს იმ პრინციპებსა და მიზნებს შორის, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

დილემა თავს იჩენს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე პოლიტიკაშიც. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხშირად უკავშირდება დილემას, ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში შორს მიმავალი შედეგებით. აქედან გამომდინარე, დილემიდან გამოსავალი არის პრიორიტეტების განსაზღვრა – ერთ მიზანზე ორიენტირება, მეორის დათმობა. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია კომპრომისების გამოძებნაც.

დილემის ანალიზისა და გადაჭრის ეტაპები

შეაგროვე ინფორმაცია	გააანალიზე შედეგები	ჩამოაყალიბე შენი პრიორიტეტები	მიიღე გადაწყვეტილება
<ul style="list-style-type: none"> • ვინ არის მონაწილე? • რა სურთ მათ (რა არის მათი უფლებები, მოთხოვნილებები, მიზნები ან ინტერესები)? • რა როლს თამაშობს ხალხი? • რაში მდგომარეობს პრობლემა/დილემა? • რა კავშირი აქვს ამ შემთხვევას ჩემთან? • რას გვკარნახობს კანონი? (უნდა შევასრულო კანონიერი მოვალეობა ან დავემორჩილო წესს?) • რა ინფორმაციას არ ვფლობთ – რა არის ჩვენთვის გაუგებარი? • თუ მოვიპოვებთ გამოტოვებულ ინფორმაციას, რა შედეგს მივიღებთ? 	<ul style="list-style-type: none"> • რა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა არსებობს? • რა შედეგს მოიტანს თითოეული ეს არჩევანი და ვისთვის? (გავლენას მოახდენს მათზე, ვისაც უშუალო კავშირი აქვს შემთხვევასთან, ჩვენს თანამედროვეებზე თუ მომავალ თაობაზე, ადამიანებზე, რომლებიც ჩვენ ირგვლივ არიან, თუ სადმე სხვაგან). 	<ul style="list-style-type: none"> • გადაწყვეტილების მიღებისას რომელი კრიტერიუმია ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგალითად: • რამდენად მაქვს გაცნობიერებული ჩემი გადაწყვეტილების შედეგები? • რომელი მორალური თუ რელიგიური პრინციპებია ჩემთვის მნიშვნელოვანი? • რა არის კანონიერი – რა არის უკანონო? • როგორ მიიღებენ სხვები ჩემს გადაწყვეტილებას – და ჩემთვის თუ იქნებოდა ის მისაღები (სხვის როლში რომ წარმოვიდგინო თავი)? • რა არის უფრო ეფექტური (პრობლემის გადაწყვეტა, ფინანსური ასპექტი)? • რა არის სასურველი თუ არასასურველი სამომავლო შედეგები ან გვერდითი მოვლენები? • ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა თუ მომავალში შექნება მისი შეცვლის საშუალება? 	<ul style="list-style-type: none"> • აუცილებელია, ერთი მიზნის მიღწევაზე გავამახვილო ყურადღება და უარი ვთქვა სხვა მიზნებზე? • არსებობს კომპრომისის შესაძლებლობა? • მოცემულ პირობებში რას მკარნახობს ინტუიცია? რომელი გადაწყვეტილებაა ჩემს პროვინებასთან ყველაზე ახლოს?

დილემის შეტანა შესაძლებელია როგორც ცალკე საგნის, ასევე ინტეგრირებულ გაკვეთილებზე. დილემის შედგენისას გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს შესასწავლ საკითხსა და იმ აქტუალურ თემას, რომელიც საინტერესოა მოსწავლისთვის და აღელვებს სასკოლო საზოგადოებას.

დილემის თემა შეიძლება უკავშირდებოდეს გლობალური მნიშვნელობის რომელიმე საკითხს, საქართველოში ან, უბრალოდ, სკოლაში წამოჭრილ რომელიმე მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას.

დილემებით სწავლების ეტაპებია:

- პირველი ნაბიჯი: მოტივაციის ამაღლება, ინტერესის გაღვივება და დილემის გაცნობა (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან); თემის მიმართ ინტერესის გაღვივება მოსწავლეებში და მათი წინარე ცოდნის გააქტიურება: მაგ.: ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის კატასტროფასთან დაკავშირებული რომელიმე ფილმიდან პატარა მონაკვეთის ჩვენება; ატომური ენერჯით გამოწვეული უარყოფითი შედეგების ამსახველი ფოტოების ან რომელიმე პატარა ამბის/ისტორიის პროექტორით ჩვენება (ან ტექსტის დარიგება ჯგუფებში);
- მეორე ნაბიჯი: პირველადი გადაწყვეტილება (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ

- კლასთან) – მოსწავლეები ინდივიდუალურად გამოთქვან მოსაზრებას შესაძლო გადანყვებილების შესახებ; შეიძლება საცდელი კენჭისყრის ჩატარება: „ვინ არის მომხრე? ვინ არის მოწინააღმდეგე?“ ან დისკუსიის წარმართვა: ვის აქვს საკითხთან დაკავშირებით მხარდამჭერი და საწინააღმდეგო მოსაზრებები?“
- მესამე ნაბიჯი: პირველადი არგუმენტირება (სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში) – მოსაზრების დასასაბუთებლად მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ სანდო არგუმენტები, რომელთაც მოსწავლეები და მასწავლებელი თემატურად აჯგუფებენ.
 - მეოთხე ნაბიჯი: გამოცდილების გაზიარება და არსებული ინფორმაციის ახლით შევსებისათვის მზადება (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან) – მასწავლებელი მართავს დისკუსიას, რომ გაარკვიოს: აქვს თუ არა მოსწავლეს საკმარისი ცოდნა; კონკრეტულად რა არ იცის მან (რისთვისაც სვამს დამაზუსტებელ კითხვებს); როგორ აპირებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას (სამუშაო ფორმა: თემატურ ჯგუფებში მუშაობა).
 - მეხუთე ნაბიჯი: ინფორმაციის შევსება (სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში) – ნაკლები ცოდნის შევსების მიზნით მოსწავლეები ეძებენ ინფორმაციას სხვადასხვა წყაროში (მაგ., ინტერნეტი, დარგობრივი ლიტერატურა, მედია და სხვა); განიხილვენ მას ჯგუფებში და მართავენ დისკუსიებს; ამზადებენ შეჯერებულ ინფორმაციას კლასში პრეზენტაციისათვის (შესაძლებელია ისეთი პროდუქტის შექმნა ჯგუფებში, როგორიცაა გაზეთი, პოსტერი და სხვა); ეძებენ კონფლიქტების გადაჭრის შესაძლო ალტერნატიულ გზებს.
 - მეექვსე ნაბიჯი: ინფორმაციის გაცვლა (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან) – მოსწავლეები ამზადებენ ჯგუფურ პრეზენტაციებს თემაზე - „რომელი ინფორმაცია მოიძიეთ/შეაგროვეთ?“; უსვამენ ერთმანეთს კითხვებს მოძიებული ინფორმაციის შესახებ: „ხომ არ გექნებათ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებული კითხვები?“
 - მეშვიდე ნაბიჯი: მეორადი არგუმენტირება (სამუშაო ფორმა: ჯგუფური მუშაობა) – მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მოიძიეს დამატებითი ინფორმაცია და შეივსეს ცოდნა საკითხის შესახებ, მათ შეუძლიათ: დააზუსტონ თავიანთი არგუმენტები; გადაამუშაონ ისინი და მოამზადონ ნერილობითი მასალა ამ მიზნით; შეიცვალონ აზრი, თუ მათ განსხვავებული არგუმენტი ჩამოუყალიბდათ.
 - მერვე ნაბიჯი: ინფორმაციის სინთეზი/შეჯერება (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან) – ღირებულებების კონფლიქტსა და მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით მოსწავლეები მართავენ დისკუსიებს. მაგალითად, აქტივობა: ატომური ელექტროსადგურის აშენების მხარდამჭერი და საწინააღმდეგო არგუმენტების დაპირისპირება.
 - მეცხრე ნაბიჯი: მე-4-და მე-8 ნაბიჯების გამეორება საჭიროების შემთხვევაში (სამუშაო ფორმა: მუშაობა ჯგუფებში და მთელ კლასთან) – დამატებითი ცოდნის მოგროვების საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი იმეორებს მე-4 და მე-8 ნაბიჯებს, მოსწავლეები კი ემზადებიან ინფორმაციის შევსებისათვის. მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს: ხართ თუ არა კმაყოფილი საკუთარი არგუმენტირებით? დარჩა თუ არა პასუხგაუცემელი კითხვები? არის თუ არა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროდუქტი საკმარისი/ სწორი? და ა.შ.
 - მეათე ნაბიჯი: საბოლოო პროდუქტი. სინთეზი/შეჯერება. სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან. ამ მონაკვეთში მოსწავლეები ახალ კონტექსტში გამოიყენებენ შექმნილ ცოდნას (მაგალითად, ფორუმების მოწყობა მშობელთა საღამოებზე და ამ თემის განხილვა);

- მეთერთმეტე ნაბიჯი: გენერალიზება/განზოგადება (სამუშაო ფორმა: მუშაობა მთელ კლასთან) – მასწავლებელი მართავს დისკუსიებს სხვა მონათესავე თემებზე. იმისათვის, რომ მასწავლებელმა ეს ნაბიჯები წარმატებით გაიაროს და დასახულ მიზანს მიაღწიოს, საჭიროა:
 - შეთხზას ამბავი, რომელშიც არის ღირებულებების კონფლიქტი, ან გამოიყენოს ნამდვილი ამბავი, სადაც ეს კონფლიქტი თვალსაჩინოა;
 - გააცნოს მოსწავლეებს დისკუსიის წესები და ყურადღება მიაქციოს მოსწავლეების მიერ ამ წესების დაცვას;
 - გამართოს დისკუსიები და კლასი გაყოს მოსაზრების მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფებად;
 - შექმნას კლასში თავისუფალი და ლაღი ატმოსფერო (არ უნდა მიემხროს რომელიმე ჯგუფს; არ მიუთითოს, რომელია სწორი და რომელია მცდარი მოსაზრება და ა.შ.);
 - დასვას კლასში მაპროვოცირებელი კითხვები დისკუსიების წარმართვისას (მაგ., „რა მოხდებოდა, ყველა რომ ასე იქცეოდეს?“);
 - დაეხმაროს მოსწავლეებს ნაკლები ინფორმაციის დადგენაში: „რა ინფორმაცია გაკლიათ იმისათვის, რომ თქვენი არგუმენტები უფრო მყარი იყოს?“
 - დაეხმაროს მოსწავლეებს მოწინააღმდეგე ჯგუფის წევრებისთვის დასასმელი კითხვების დახვეწასა და დეტალიზებაში;
 - შეძლოს გაკვეთილის სწორად დაგეგმვა და გაითვალისწინოს საჭირო დრო;
 - საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებთან შეათანხმოს რიგი საკითხები და ა.შ.

ქეისებით (შემთხვევის ანალიზი, კონტექსტ-მაგალითი) სწავლება

ქეისი რეალური შემთხვევაა, რომელიც შეგვიძლია „ცხოვრებისეული სიტუაციის“ სტატუსიდან ამოცანის სტატუსში გადავიყვანოთ და რეფლექსიით და გადაწყვეტისთვის აუცილებელი რესურსების გამოყენებით ამოვხსნათ. შემთხვევა (კონტექსტ-მაგალითი, ანუ ქეისი) რეალობის შესატყვისი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორებისა და მოვლენების, განსჯისა და პერსონაჟთა იმედების ერთობლიობაა; ამ სიტუაციაში იკვეთება პრობლემა, რომელიც მოითხოვს გადაჭრას ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების გზით. ქეისი არამარტო მოვლენის რეალური აღწერაა, არამედ ერთიანი ინფორმაციული კომპლექსია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავეცნოთ სიტუაციას.

შემთხვევის (სიტუაციის) ანალიზი (Case study) პედაგოგიური ტექნოლოგიაა, რომელიც ეფუძნება მოდელირებული ან რეალური სიტუაციის გამოყენებას მისი ანალიზის, პრობლემის გამოვლენის, მისი გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიებისა და ოპტიმალური გამოსავლის პოვნის მიზნით. მოკლედ, რომ ვთქვათ, ქეისმეთოდი სწავლების ინსტრუმენტია, რომელიც პრაქტიკული ამოცანების შესრულებისას თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას გვაძლევს.

ქეისმეთოდით სწავლება გულისხმობს რეალური ეკონომიკური, სოციალური, საყოფაცხოვრებო თუ სხვა პრობლემის, შემთხვევის (ინგლ. case – შემთხვევა) გამოყენებას სასწავლო მიზნით.

ქეისზე მუშაობის დროს მოსწავლეები ეძებენ და აანალიზებენ დამატებით, მათ შორის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას ცოდნის სხვადასხვა სფეროდან. ქეისებით სწავლების ძირითადი დანიშნულებაა, ასწავლოს მოსწავლეებს ისეთი რთული

არასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა, რომელთა ანალიზის საშუალებით ამოხსნა შეუძლებელია.

მეთოდის უპირატესობად შეიძლება ჩაითვალოს პრობლემური სწავლების პრინციპების გამოყენება – რეალური პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავება. შემთხვევის ანალიზის (კონტექსტ-მაგალითის) არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს სთავაზობენ რეალური ცხოვრებისეული სიტუაციის გააზრებას. ისინი მსჯელობენ პრაქტიკიდან აღებულ, ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს, ეძებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა და საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან.

ამ სიტუაციის აღწერის მხოლოდ პრობლემას კი არ ასახავს, არამედ ცოდნის იმ კომპლექსის გააქტიურებასაც უწყობს ხელს, რომლის ათვისება აუცილებელია მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად.

როგორც წესი, შემთხვევების განხილვა ხდება პატარა ჯგუფებში (ოთხიდან ექვს კაცამდე), რომლებიც „საქმის მასალებს“ ეცნობიან, შეიმუშავენ და აუდიტორიას წარუდგენენ წინადადებებს. შემთხვევის ანალიზი მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, შეისწავლონ, გაიაზრონ რთული და ემოციურად მგრძნობიარე საკითხები მათთვის უსაფრთხო საკლასო გარემოში და ამ გზით მიღებული გამოცდილებით მოემზადონ რეალური ცხოვრებისთვის, როცა ანალოგიურ სიტუაციებს უკვე ახლავს საფრთხეები, რისკები და შფოთვა მცდარი გადაწყვეტილების არასასურველი შედეგების გამო.

მეთოდის წყალობით მოსწავლეებს საშუალება აქვთ გამოამყვანონ და განივითარონ ანალიტიკური და შეფასებითი უნარები, ისწავლონ ჯგუფური მუშაობა, იპოვონ დასმული პრობლემის გადაჭრის რაციონალური გზები. ამ დროს მოსწავლეები სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების მოძებნას, გადაწყვეტილების მიღებას და სხვ.

დიდაქტიკურად სწორად წარმართული შემთხვევის ანალიზის დროს ტექსტებთან ერთად გამოყენებულია სხვადასხვა თვალსაჩინო მასალა – ცხრილები, ტაბულები, დიაგრამები, რუკები, ფოტოსურათები, ფილმები, კარიკატურები და სხვ.

პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანი – შემთხვევები რეალური, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან არის აღებული და მათზე მუშაობა მოსწავლეს მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ ცხოვრებასთან ინტეგრირების საშუალებას აძლევს. ამ დროს მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა, თავად უხდება წამოჭრილ პრობლემასთან გამკლავება – არკვევს, რა უნდა იცოდეს პრობლემის უკეთ გასაგებად, დამოუკიდებლად ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, კვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და სხვ. შემდეგ კი, ახალი ცოდნით აღჭურვილი, ის კვლავ უბრუნდება პრობლემას, ეძებს და პოულობს გადაჭრის საუკეთესო გზას.

ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და მათ რეალურად მიღებულ გადაწყვეტილებას ადარებს. ყოველივე ეს მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება.

შემთხვევის ანალიზით სწავლა მოსწავლისთვის უფრო საინტერესო და სახალისოა, რაც ზრდის მის შინაგან მოტივაციას და შესასწავლი საგნისადმი ინტერესს.

ქვისტექნოლოგიის გამოყენების შედეგად ხდება:

- პრობლემის იდენტიფიკაციისა და ინფორმაციის სტრუქტურისა და უნარების განვითარება;
- გადანყვეტილებების მიღების სხვადასხვა (სტრატეგიული, ტაქტიკური) ტექნოლოგიის ათვისება;
- გამოცდილების აქტივაცია და პრაქტიკაში გამოყენების კრიტიკული შეფასება;
- ეფექტური კომუნიკაცია ჯგუფთან საერთო გადანყვეტილების ძიებისა და მიღების პროცესში;
- სტერეოტიპების და კლიშეების ნგრევა სწორი გადანყვეტილების ძიების პროცესში;
- ინოვაციების სტიმულირება ცოდნის სინერჯის ხარჯზე – სისტემური, კონცეპტუალური ცოდნის განვითარება;
- მოტივაციის ამაღლება – თეორიული ცოდნის გაფართოება პრაქტიკული და გამოყენებითი ამოცანების გადასაწყვეტად.

მეთოდს რამდენიმე ვარიანტი აქვს; განვიხილოთ თითოეული:

Case-Study (სასწავლო შემთხვევა) მეთოდი – მეთოდის ამ ვარიანტში შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დანვრის მიხედვით ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა, თუმცა რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს – ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. შემთხვევის დამუშავების დროს აქცენტი, პირველ რიგში, დაისმის პრობლემის იდენტიფიცირებაზე, ასევე – ანალიზზე, სინთეზზე, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნაზე და მისი მართებულობის დასაბუთებაზე.

Case-Problem (შემთხვევა-პრობლემა) მეთოდი – ამ ვარიანტში პრობლემა უკვე მკაფიოდ არის წარმოდგენილი, ასე რომ, მოსწავლეების მთელი ძალისხმევა მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატივის შემუშავებისკენ, მართებულობის დასაბუთებისა და საბოლოო გადანყვეტილების მიღებისკენ.

Case-Incident (შემთხვევა-ინციდენტი) მეთოდი – ამ მეთოდით სწავლებისას მოსწავლეთა საქმიანობა უმთავრესად ინფორმაციის მოძიებისკენ არის მიმართული, რადგან მათთვის შეთავაზებული კონკრეტული შემთხვევა არასრულია და არ შეიცავს პრობლემის ამოსაცნობად, გასაანალიზებლად და გადაჭრის გზების საძიებლად საჭირო ყველა ინფორმაციას. ამ ვარიანტზე მუშაობისას მოსწავლეები თავად უნდა მიხვდნენ, რა აკლია მოცემულობას და დამატებითი ინფორმაცია მოიპოვონ. ეს მიდგომა საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, თუმცა პრაქტიკასთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ყველაზე ახლოს მდგომად განიხილება, რადგან მოსწავლეებს დამატებითი ინფორმაციის მოძიების პროცესში რეალურად უხდებათ შეხება აღნიშნულ შემთხვევასთან/პრობლემასთან.

Stated-Problem მეთოდი – ეს ვარიანტი იმით გამოირჩევა, რომ სიტუაციაშივეა მოცემული პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება.

მოსწავლეებმა უნდა გააანალიზონ პრობლემის გადაჭრის თითოეული მეთოდი, გამოიყონ მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, კრიტიკულად შეაფასონ არსებული ხედვები, ეძებონ, იპოვონ და დაასაბუთონ გადაჭრის თავ-თავიანთი გზა.

მეთოდის პარანთაბი	პრობლემა	ინფორმაცია	პრობლემის გადაჭრა/ გადაწყვეტილების მიღება	გადაწყვეტილების კრიტიკა
Case-Study	ძირითადი მიზანი: ლატენ-ტურად/ შეფარულად მოცემული პრობლემების აღმოჩენა და გაანალიზება	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	მოცემული ინფორმაციის დახმარებით განისაზღვრება პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტები და მიიღება გადაწყვეტილებები	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Problem	სიტუაციაში პრობლემები პირდაპირ არის დასახელებული	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	ძირითადი მიზანი: სიტუაციაში აღწერილი პრობლემების დახმარებით გადაჭრის ალტერნატიული გზების მოძიება, მართებულობის დასაბუთება და გადაწყვეტილების მიღება	მოსწავლეების მიერ შერჩეული პრობლემის გადაჭრის გზების შედარება რეალობაში/სიტუაციაში მიღებულ გადაწყვეტილებასთან
Case-Incident	შემთხვევა არასრულყოფილად არის წარმოდგენილი	ძირითადი მიზანი: საჭირო დამატებითი ინფორმაციის ამოცნობა და მოძიება	განიხილება კონკრეტული შემთხვევა და მისი გადაჭრის გზები	მოსწავლეების მიერ პრობლემის გადაჭრის გზის არგუმენტირებული დასაბუთება
Stated-Problem მეთოდი	პრობლემები მოცემულია	საჭირო ინფორმაცია მოცემულია	პრობლემის გადაჭრის გზები და მათი მართებულობის დასაბუთება მოცემულია. მოსწავლეები ეძებენ დამატებით ალტერნატივებს	ძირითადი მიზანი: წინასწარ მოცემული გადაჭრის გზების კრიტიკა

ქეისები სასწავლო მიზნების მიხედვით არსებობს:

საილუსტრაციო სასწავლო სიტუაციები	სასწავლო სიტუაციები	სასწავლო სიტუაციები	წვრთნები
ქეისები, რომელთა მიზანია, ცალკეულ პრაქტიკულ მაგალითებზე გამოუმუშაოს მოსწავლეს კონკრეტულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღების ალგორითმი	ქეისები პრობლემის ფორმირებაზე, რომლებშიც აღწერილია სიტუაცია დროის კონკრეტულ პერიოდში. ასეთი ქეისის მიზანია სიტუაციის დიაგნოსტიკა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება	ქეისები პრობლემების ფორმირების გარეშე, რომლებშიც წინა ვარიანტთან შედარებით უფრო რთული სიტუაციები განიხილება, სადაც პრობლემა მკაფიოდ კი არაა ჩამოყალიბებული, არამედ სტატისტიკური მონაცემების სახითაა მოცემული. ასეთი ქეისის მიზანია პრობლემის დამოუკიდებლად განსაზღვრა, არსებული რესურსების ანალიზით მისი გადაჭრის გზების მოძიება	გამოყენებითი წვრთნები, რომლებიც ასახავს კონკრეტულ არსებულ ვითარებას და სთავაზობს გამოსავლს ლის მოძიებას. ქეისის მიზანია ამ შემთხვევაში არის პრობლემების გადასაჭრელად გზების ძიება

შინაარსის მიხედვით პრაქტიკულ, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით ქეისებს გამოყოფენ:

- პრაქტიკული ქეისები რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებია, რომლებიც დეტალურად ასახავს მომხდარს. მათი სასწავლო მნიშვნელობა ისაა, რომ მოსწავლეები იმყარებენ ცოდნას, ივითარებენ უნარებს. ასეთი ქეისები უნდა იყოს მაქსიმალურად თვალსაჩინო და დეტალური.
- სასწავლო ქეისები ასახავს ტიპურ სიტუაციებს, რომლებიც ხშირია ცხოვრებაში. სიტუაცია, პრობლემა და სიუჟეტი არარეალურია, მაგრამ შესაძლოა ცხოვრებაში მოხდეს.
- სამეცნიერო-კვლევითი ქეისები წარმოადგენენ სიტუაციას და ამ სიტუაციაში ქცევის შესახებ ახალი ცოდნის მიღების მოდელებს. სწავლის ფუნქცია კავშირშია კვლევით პროცედურებთან.

ქეისში მოთავსებული სიტუაცია სხვადასხვა წყაროს მეშვეობითაა აღწერილი. ეს წყარო შეიძლება იყოს სპეციალური ლიტერატურა, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალები, მასმედია და სხვ. ანუ ქეისი მოიცავს არაერთგვაროვან ინფორმაციას განსაზღვრული პრობლემის ირგვლივ. ასეთი ქეისი ერთსა და იმავე დროს დავალებაც არის და ინფორმაციის წყაროც ეფექტური მოქმედების ვარიანტების გასააზრებლად.

კარგი ქეისის მახასიათებლებია:

- უნდა შეესაბამებოდეს მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს;
- ჰქონდეს სირთულის შესატყვისი (მოსწავლეთა ასაკისა და ცოდნის შესაბამისი) დონე;
- წარმოაჩენდეს თემის რამდენიმე ასპექტს;
- აქტუალური იყოს მოცემული მომენტისათვის;
- ასახავდეს ტიპურ სიტუაციას წარმოდგენილ სფეროში;
- ავითარებდეს ანალიტიკურ აზროვნებას;
- განაპირობებდეს დისკუსიის პროვოცირებას;
- ჰქონდეს გადაწყვეტის რამდენიმე გზა;
- განაპირობებდეს საგანთაშორისი კავშირების გამოყენებას.

RAFT მეთოდი

RAFT მეთოდი მიზნად ისახავს გარკვეული თემის შესახებ წერილობითი ტექსტების შექმნას. შემოქმედებითი პროდუქტი შეიძლება განსხვავდებოდეს ჟანრითა და დიზაინით. ეს მეთოდი ასწავლის თემის განხილვას სხვადასხვა კუთხითა და თვალსაზრისით, უვითარებს მათ წერის უნარებს, ასწავლის კრიტიკულ აზროვნებას, რაც ეხმარება მოსწავლეებს ობიექტებისა და შინაარსის გაანალიზებაში, საკუთარი დასკვნებისა და შეფასების ჩამოყალიბებაში.

RAFT გაშიფრულია შემდეგ ცხრილში:

R – როლი	A – აუდიტორია	F – ფორმა	T – თემა
როლის განსაზღვრა	ვისთვისაა განკუთვნილი მოცემული ტექსტი	ჟანრისა და თხრობის ფორმის არჩევა	თემისა და ძირითადი იდეების შერჩევა, ტექსტის განსაზღვრა

RAFT მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს თემა. გაკვეთილის დაწყებამდე უნდა მოამზადოს ცხრილი, რომელსაც დაფაზე დახაზავს. კრიტიკული აზროვნების სწავლების სტრუქტურისა და მეთოდების თანახმად, RAFT მეთოდის რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა.

გამონვევის ეტაპი: ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა მოსწავლეების გააქტიურება, მათი მოტივირება. ოპტიმალურია იმ მეთოდების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად დააინტერესებს და ჩართავს ყველა მოსწავლეს, მაგალითად, ასოციაციური რუკისა და გონებრივი იერიშის გამოყენება.

ცხრილის პირველ სვეტში 3-5 როლი იწერება, მაგ., ჟურნალისტი, ექსპერტი, მინისტრი და სხვ.

მეორე სვეტში იწერება ის ადამიანები, ადამიანების ჯგუფები, ორგანიზაციები, ვისთვისაც ეს ტექსტია განკუთვნილი. აუდიტორია თემის შესაბამისად განისაზღვრება: მოსახლეობა, მშობლები, უფროსკლასელები, დაწყებითი კლასების მოსწავლეები, მთავრობისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეურნეობის დარგის მუშაკები და ასე შემდეგ.

მომდევნო გრაფაში იწერება ის შესაძლო ფორმები, რომლებიც უკავშირდება სოციალურ როლებსა და სავარაუდო მკითხველს. ეს შეიძლება იყოს მიმართვის წერილი, ბუკლეტი, პოსტერი და სხვა. მესამე გრაფაში კი ტექსტის ძირითადი იდეები აისახება.

მასწავლებელი შევსებულ ცხრილს კითხულობს. მონაწილეთა შორის ნაწილდება როლები და იწყება ტექსტის წერა. სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია გრძნობებისა და ემოციების გადმოცემა, ამავე დროს, უნდა გაითვალისწინონ, რა პირობებში შეიძლება მოხვდეს პერსონაჟი, ობიექტი, მოვლენა, ანუ „თემის გმირი“. სამუშაო შეიძლება იყოს ჯგუფური. უპირატესობა მცირე ჯგუფებს ენიჭება. მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევარს.

გააზრების ეტაპი მოიცავს სახელმძღვანელოს ან დამატებითი მასალის გაცნობას. ამ ეტაპზე მოსწავლეები იღებენ ახალ ინფორმაციას, ინიშნავენ შენიშვნებს.

რეფლექსიის ეტაპი გააზრებასა და ანალიზს მოიცავს. ამ ეტაპზე მოსწავლეები იღებენ ახალ ინფორმაციას, განიხილავენ მას და ადარებენ ადრე ცნობილ ფაქტებს. უკეთესი ეფექტის მისაღწევად რეკომენდებულია მოცემულ თემაზე ვიზუალური მასალის გამოყენება (ფოტოები, სლაიდები, ნახატები).

ეს სტრატეგია ხელს უწყობს იმპროვიზაციის, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, აგრეთვე, პრეზენტაციის მნიშვნელობისა და სპეციფიკის გაგებისა და გააზრების საშუალებას გვაძლევს.

QAR მეთოდი (Question-Answer-Relationship) შეკითხვა-პასუხი-შრთიერთმიმართება

QAR მეთოდის ავტორი ტეფი რაფაელია – QAR-ის სტრუქტურა მოსწავლეს ეხმარება პრობლემის გაგების, ანალიზისა და შეფასების პროცესში. სხვადასხვა სახის კითხვების დახმარებით მოსწავლეები იგებენ, რომ სწორი პასუხი შეიძლება მოითხოვდეს არა მარტო ინფორმაციის წაკითხვას, არამედ ანალიზსა და ინტერპრეტაციას. ისინი გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას, აზრს, იშველიებენ გამოცდილებას წაკითხულის ირგვლივ და აფასებენ ფაქტს ან მოვლენას.

კითხვები დაყოფილია 4 ჯგუფად: „პირდაპირ ტექსტში“, „დაფიქრდი და მოძებნე“, „ავტორი და შენ“, „შენ თვითონ“.

QAR – მეთოდი ამალღებს წაკითხულის გააზრების დონეს:

- ასწავლის მოსწავლეს შეკითხვის დასმასა და მასზე პასუხის გაცემის ხერხებს;
- ეხმარება მოსწავლეს, იფიქროს ტექსტზე მისი წაკითხვის შემდეგაც;
- ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებით უნარების განვითარებას, უბიძგებს მკითხველებს უფრო მაღალი, სიღრმისეული აზროვნებისკენ.

ზოგადი ჩარჩო:

<p>უშუალოდ ტექსტში განმარტება: კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო ინფორმაცია მკაფიოდაა ასახული გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში. ეს პირდაპირი კითხვებია, რომელთა პასუხები თავად ტექსტშია მოცემული. მოსწავლეებს მხოლოდ გრაფიკული გამოსახულების ან ტექსტის წაკითხვა და მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება, სწორი პასუხების პოვნა სჭირდებათ.</p>	<p>ავტორი და შენ განმარტება: პასუხი პირდაპირ არ არის მოცემული გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის ინფორმაცია, რაც უკვე იცით თემის შესახებ. გამოიყენეთ თქვენი ცოდნა და ავტორის ინფორმაცია კითხვაზე პასუხის გასაცემად. პასუხი მოითხოვს არა მარტო ინფორმაციის გამოყენებას, არამედ ინტერპრეტაციას.</p>
<p>იფიქრე და მოქაზნე განმარტება: პასუხი გრაფიკებზე და ტექსტშია, თუმცა, სწორი პასუხის მოსაძებნად ყურადღება უნდა მიაქციოთ მრავალრიცხოვან მონაცემს, ფაქტორს, დააკავშიროთ სხვადასხვა გრაფიკული ელემენტი, დაადგინოთ მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.</p>	<p>შენ თვითონ (დამოუკიდებლად) განმარტება: პასუხი არ არის გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში. პასუხი შეგიძლიათ გასცეთ თქვენთვის უკვე ცნობილი თემის შესახებ არსებული ინფორმაციის დახმარებით ან თქვენი გამოცდილების საფუძველზე. ამაში დაგეხმარებათ მოცემული გრაფიკები და ტექსტიც.</p>

დაბალი სააზროვნო დონის შეკითხვები (რა? ვინ? სად? როდის?) უშუალოდ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის მოძიებას ემსახურება, იმპლიციტური (როგორ? რატომ?) შეკითხვები კი - ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრებას, გმირთა ხასიათების ამოცნობას, პრობლემათა დაფიქსირებას, მისი გადაწყვეტის გზების ძიებას, ნაწარმოების დედააზრის გამოკვეთას, შეფასებას.

იფიქრე და მოძებნე, ავტორი და შენ, შენ თვითონ - იმპლიციტური აქტივობებია.

PRES ფორმულა – ეფექტური სასწავლო პროცესისთვის

PRES ფორმულა (პოზიცია-მიზეზი, ანუ ახსნა-განმარტება ან მაგალითი-შეჯამება) გამოიყენება მიღებული ცოდნის სისტემატიზაციის მიზნით ჯგუფური დისკუსიების ორგანიზებისას.

ეს ინტერაქტიური მეთოდი ეფექტური საშუალებაა სასწავლო მასალის ცოდნის კონტროლისათვის. მისი ავტორი სამხრეთაფრიკელი სამართლის პროფესორი დევიდ მაკკოიდ-მეისონია.

ამ ფორმულის გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება ზეპირი თხრობის მონესრიგებაში, რადგან ის გვთავაზობს სიტყვის ორგანიზების უმარტივეს გზას.

მისი კომპონენტები საშუალებას გვაძლევს, დავშალოთ და დავამუშაოთ საგანმანათლებლო პრობლემა, გავამყაროთ განვლილი თემები. საკონტროლო ტესტის ფორმისგან განსხვავებით, რომელშიც ხშირად ხდება შემთხვევითი, ინტუიციური პასუხების გაცემა, ეს ფორმულა უფრო ნათლად გამოავლენს მოსწავლეებში არსებული ცოდნის ხარვეზებს.

ეს ტექნიკა შეიძლება იყოს შესანიშნავი ინსტრუმენტი დისკუსიის ჩასატარებლად. ის საშუალებას გვაძლევს მოკლედ და დასაბუთებულად გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა, რაც იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ დისკუსიაში ჩართვას.

PRES ფორმულის სტრუქტურა შეიცავს 4 მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელთა სახელების პირველი ასოებისგანაც შედგება თავად აბრევიატურა.

P – პოზიცია – აუცილებელია, გამოთქვან საკუთარი აზრი მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამისათვის შეიძლება შემდეგი ფორმულირებების გამოყენება: „მჯერა, რომ...“, „ჩემი აზრით, ეს პრობლემა იმსახურებს / არ იმსახურებს ყურადღებას“, „ვეთანხმები...“; „ვფიქრობ, რომ...“;

R – დასაბუთება (არა მარტო ხსნის მის პოზიციას, არამედ ასაბუთებს საკუთარს) – აქ უნდა წარმოადგინონ ყველა შესაძლო არგუმენტი მოსაზრების დასამტკიცებლად. პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული და მასში უნდა გამოიყენონ ცნებები უკვე გავლილი მასალიდან. ამ ბლოკში მთავარი კითხვაა „რატომ ფიქრობთ ასე?“ და ეს ნიშნავს, რომ პასუხი უნდა დაიწყოს სიტყვებით: „იმიტომ...“; „რადგან...“ ან „მას შემდეგ...“.

E – მაგალითი (თავისი პოზიციის არსის ახსნისას იყენებს კონკრეტულ მაგალითებს) – არგუმენტების გასამყარებლად, აუცილებელია ფაქტების ციტირება. ეს პუნქტი გვიჩვენებს მოსწავლეების უნარს, დაამტკიცონ თავიანთი პოზიციის სისწორე პრაქტიკაში. შეიძლება გამოიყენონ როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული ცოდნა ან სოციალური კვლევების შედეგები. მთავარია, რომ იყოს დამაჯერებელი. ამ ეტაპზე იყენებენ ფრაზებს: „მაგალითად...“, „შემიძლია დავამტკიცო ეს მაგალითით...“; „ამის დასადასტურებლად შემიძლია ვთქვა, რომ...“.

S – შედეგი-რეზიუმე (დასკვნა) – ეს ბლოკი საბოლოოა. ის თავს უყრის მოსწავლის პოზიციის შემაჯამებელ დასკვნებს. მასში წინადადებების დასაწყისი შეიძლება იყოს: „ამ გზით...“, „ასე რომ...“, „მაშასადამე...“, „ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დავასკვნებ რომ...“; „ამის საფუძველზე დავასკვნებ, რომ...“).

PRES-ს შეიძლება შევუსაბამოთ კითხვები: რა? (P – პოზიცია), რატომ? (R – დასაბუთება მიზეზი), როგორ? (E – მაგალითი-განმარტება) და What If / რა მოხდება, თუ... (შეჯამება / წინადადება / შედეგი). ეს მეთოდი ღირებულია იმით, რომ იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მოკლედ და სრულყოფილად გამოხატონ თავიანთი პოზიცია პრობლემის შესახებ.

5. რეკომენდაციები შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისთვის

როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის წიგნში გთავაზობთ რამდენიმე შემოქმედებით დავალებას. ასევე, წარმოგიდგენთ რეკომენდაციას, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა დამუშავდეს შემოქმედებითი დავალება.

შემოქმედებითი დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):

ეტაპი 1. შემოქმედებითი დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება შემოქმედებითი დავალების პრეზენტაცია)

საკვანძო შეკითხვა: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა წარმოვაჩინო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

1. გავაცნობ შემოქმედებითი დავალების პირობას. ყურადღებას გავუმახვილებ, კონკრეტულად რა პროდუქტი უნდა შექმნან შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის შედეგად;
2. ავუხსნი, რა უნდა წარმოაჩინონ მათ მიერ მომზადებულ პოსტერში. აღვნიშნავ, რომ ეს შეფასების კრიტერიუმებია;
3. ავუხსნი, რას ნიშნავს გეოგრაფიული კვლევის ეტაპების წარმოჩენა დავალებაზე მუშაობის დროს და ავუხსნი, რას გულისხმობს გეოგრაფიული კვლევა;
4. ვთხოვ, დაფიქრდნენ, რაიმე კითხვები ხომ არ აქვთ დავალების პირობასა და კრიტერიუმებთან დაკავშირებით, ან რამე ხომ არ არის მათთვის ბუნდოვანი და კიდევ ერთხელ მივცემ მითითებებს.

ეტაპი 2. შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.

საკვანძო შეკითხვები: როგორ შევასრულო მოცემული დავალება?

აქტივობა 1. იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ., ვიდეოფილმის ნახვა, განხილვა და სხვა.

აქტივობა 2. იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ., ტექსტის ან თემატური რუკების ანალიზი, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და სხვა.

აქტივობა 3. იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ., შემოქმედებით დავალებაში მოცემული კონკრეტული პროდუქტის, მაგალითად, პოსტერის შექმნა.

აქტივობა 4. იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ., შემოქმედებითი დავალებების პრეზენტაცია.

საკვანძო შეკითხვა: როგორ უნდა წარმოვადგინო შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის შედეგები ისე, რომ ეს მსმენელთათვის საინტერესო და გასაგები იყოს?

მოსწავლეები წარმოადგენენ მომზადებულ პროდუქტს, გავვიზიარებენ კვლევის იმ ეტაპებს, რომლებიც გაიარეს შემოქმედებით დავალებაზე მუშაობის დროს – რა დასკვნები გამოიტანეს, რა პრობლემებსა და სირთულეებს წააწყდნენ, რასაც მომავალ შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას გაითვალისწინებენ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გადაწყვეტს თემის ფარგლებში გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა რომელიმე შემოქმედებითი დავალების შედგენას, მას შეუძლია დამატებით გაეცნოს საკითხავ მასალას (გვ. 51).

შემოქმედებითი ღვაწლის ნიმუშები და მათი განხორციელების ეტაპები

შემოქმედებითი ღვაწლები 1

სამიზნე ცნებები

გეოგრაფიული გარსი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება;

საკვანძო შეკითხვა

როგორ დავარწმუნო ქალაქდაგეგმარების კომიტეტი ლოტოსის დიაგრამის დახმარებით, რომ გაითვალისწინონ ეკოარქიტექტორის რეკომენდაციები ქალაქის ურბანული მოწყობის გასაუმჯობესებლად.

საკითხი

ბიოურბანიზმი ავსტრალიაში

დავალების პირობა:



სიმშვიდე, სიმწვანე, ჯანსაღი გარემო – ეს ახალი, თანამედროვე ქალაქის კონცეფციაა, რომელსაც არც ანმყოში და არც მომავალში ალტერნატივა არ აქვს. ქალაქის გეგმარების მწვანე კონცეფცია მრავალ ქვეყანაში ნარმატებით განხორციელდა. ამგვარად დაგეგმარებულ ქალაქებს „მწვანე ქალაქებს“ უწოდებენ. ახალი კონცეფციების, სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების წყალობით ქალაქები უსაფრთხო ადგილად გადაიქცა არა მხოლოდ იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, არამედ გარემოსა და მთლიანად დედამიწისთვის.

წარმოიდგინე, რომ ეკოარქიტექტორი ხარ და შენი ქალაქის ქალაქგეგმარების კომიტეტს უნდა შესთავაზო ურბანული გარემოს აღდგენის პროექტი.

შენი მიზანია, გაეცნო ურბანული დაგეგმარების თანამედროვე კონცეფციებს – ბიოურბანიზმსა (ეკოურბანიზმი) და ლანდშაფტურ ურბანიზმს. განიხილო ავსტრალიის ქალაქების გამოცდილება, შეიმუშაო და ლოტოსის დიაგრამის დახმარებით წარადგინო რეკომენდაციები შენი ქალაქის ურბანული მოწყობის გასაუმჯობესებლად.

ლოტოსის დიაგრამაში ხაზგასმით წარმოაჩინე:

- ◆ რა გავლენას ახდენს ურბანული ლანდშაფტი ავსტრალიის გეოგრაფიულ გარემოზე და როგორ ყალიბდება ნოოსფერო;
- ◆ როგორ ცვლის ბიოურბანიზმი (ეკოურბანიზმი) და ლანდშაფტური ურბანიზმი ავსტრალიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას;
- ◆ რა გავლენას ახდენს ავსტრალიის სახელმწიფო პოლიტიკა ურბანიზმის კონცეფციების განხორციელებაზე;
- ◆ რა როლს ასრულებს ურბანული დაგეგმარების თანამედროვე კონცეფციები ავსტრალიის მდგრადი მომავლის შექმნის პროცესში.

პრაქტიკული რჩევები:

- ◆ გაეცანი ლანდშაფტის ცვლილების ფორმებსა და მიზეზებს;
- ◆ გამოიკვლიე ანთროპოგენური ლანდშაფტების გავრცელების არეალები;
- ◆ დაადგინე კულტურული ლანდშაფტების ჩამოყალიბების პირობები;
- ◆ გააანალიზე ურბანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები;





- ◆ ახსენი, რა გავლენას ახდენს ურბანიზაცია ლანდშაფტის ჩამოყალიბებაზე და როგორ ცვლის გეოგრაფიულ გარემოს;
- ◆ განსაზღვრე ბიოურბანიზმისა (ეკოურბანიტიკა) და ლანდშაფტის ურბანიზმის კონცეფციები და მათი როლი ნოოსფეროს ჩამოყალიბების პროცესში;
- ◆ გააანალიზე სამრეწველო და ურბანული ლანშაფტების გავლენა გარემოს ცვლილებაზე და მოსახლეობის კეთილდღეობაზე;
- ◆ გააანალიზე, რა როლს შეასრულებს ურბანიზმის კონცეფციები ადამიანისა და გარემოს ურთიერთობაში თანამედროვე ეტაპზე;
- ◆ შეიმუშავე რეკომენდაციები ბიოურბანული ლანდშაფტის შესაქმნელად და არგუმენტირებულად დაასაბუთე მათი მართებულობა და უპირატესობა.

რესურსები:



▲ გრაფიკული ორგანიზატორი ლოტოსის დიაგრამა
<https://goo.su/cVgplZ>



▲ ლოტოსის დიაგრამა
<https://goo.su/M0VK>



▲ ქალაქი ადელაიდა
<https://goo.su/Y2SGAbT>



▲ გაერო – მომავლის ქალაქები
<https://goo.su/5f9FdUf>
<https://goo.su/5bugFUM>



▲ მწვანე არქიტექტურა და მისი მნიშვნელობა
<https://tekto.ge/mtsvane-arqiteqtura/>



▲ მწვანე ქალაქის კონცეფცია
<https://goo.su/X2qJ>



▲ მსოფლიოს ყველაზე „მწვანე“ ქალაქები
<https://goo.su/AnUK>



▲ სად არის მწვანე ქალაქი?
<https://goo.su/dTXeL3j>

დავალებაზე მუშაობის ეტაპები:

ნაბიჯი 1.

სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1,2,3,4)

- რა გავლენას ახდენს ურბანული ლანდშაფტი ავსტრალიის გეოგრაფიულ გარემოზე და როგორ ყალიბდება ნოსფერო.

აქტივობა 1 – ინტერაქტიურ რუკაზე მუშაობა

მოსწავლეები ინტერნეტში მოიძიებენ ავსტრალიის სხვადასხვა ტერიტორიის ფოტოებს და შემდეგ პროგრამის <https://goo.gl/tHPE> გამოყენებით ეცნობიან ამ ლანდშაფტებს, ადარებენ მათ მიერ შერჩეული ტერიტორიების ძველ ფოტოებზე გამოსახულ ლანდშაფტს თანამედროვეს და ადგენენ:


- რა შეიცვალა;
- როგორ იცვლება ლანდშაფტები განედის მიხედვით;
- როგორ შეიცვალა ლანდშაფტი დროსა და სივრცეში;
- რომელი ტერიტორიებია ყველაზე მეტად შეცვლილი და რატომ.

აქტივობა 2 – მუშაობა გრაფიკულ ორგანიზატორებზე

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ რესურსებს – ტექსტს, ცხრილებს, დიაგრამებსა და რუკებს, ავსებენ გრაფიკულ ორგანიზატორებს და უპასუხებენ კითხვებს:

- როგორ ფიქრობ, როდის და რა მიზეზებმა განაპირობა ანთროპოგენური ლანდშაფტების წარმოქმნა?
- წარმოშობის მიხედვით ლანდშაფტზე ზემოქმედების რომელი ფორმაა ყველაზე მეტად საზიანო და გავრცელებული? დაასაბუთე შენი მოსაზრება.
- როგორ ფიქრობ, რამდენჯერ შეიძლება შეცვალოს ადამიანი ბუნებრივი ლანდშაფტი? მოიყვანე მაგალითები, რომლებიც რესურსების გამოყენების შედეგად ლანდშაფტის ცვლილებას ასახავს.

მიზეზშედეგობრივი კავშირების გრაფიკული ორგანიზატორის ნიმუში



მოსწავლეები წარმოადგენენ შევსებულ სქემას და გამოთქვამენ ვარაუდებს, თუ როგორ შეიცვლება ანთროპოგენური ლანდშაფტების გეოგრაფია.

აქტივობა 3 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 1“-ს (გვ.13) და მსჯელობენ, ეთანხმებიან თუ არა მოცემულ მოსაზრებებს:

- კულტურულ ლანდშაფტს ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებას უწოდებენ.
- ანთროპოგენური ლანდშაფტები ასახავენ საზოგადოებისა და დასახლებების მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის პროცესს, რომელიც ხელსაყრელი და/ან არახელსაყრელი ბუნებრივი ფაქტორების გავლენით მიმდინარეობდა.
- ანთროპოგენური ლანდშაფტები ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას.

ნაბიჯი 2.

სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3,4)

- როგორ ცვლის ბიოურბანიზმი (ეკოურბანიზმი) და ლანდშაფტური ურბანიზმი ავსტრალიის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას;
- რა გავლენას ახდენს ავსტრალიის სახელმწიფო პოლიტიკა ურბანიზმის კონცეფციების გამოყენებაზე.

აქტივობა 4 – ტექსტზე და გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებზე მუშაობა


1. მოსწავლეები აანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და სურ. 1.8-ს და მსჯელობენ, არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული ნიშნები, თუ რის მიხედვით ხდება ურბანული ლანდშაფტის გამოყოფა?
2. მოსწავლეები შეარჩევენ მათთვის საინტერესო ქვეყნებს, მათ შორის ავსტრალიას და სურ. 2.2-ის ან ვებგვერდის <https://ourworldindata.org/> გამოყენებით ადგენენ:
 - ა. როგორია ამ ქვეყნებში ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობის ხვედრითი წილი და გამოიტანენ დასკვნას.
 - ბ. რომელ ქვეყნებშია ურბანიზაციის მაჩვენებელი 100% და და რომელი უახლოვდება ამ მაჩვენებელს. მსჯელობენ, თუ რამ განაპირობა ასეთი მაღალი მაჩვენებელი.

აქტივობა 5 – მუშაობა გრაფიკულ ორგანიზატორებზე

მოსწავლეები აანალიზებენ ნახ. 2.4-ს, მსჯელობენ და ავსებენ გრაფიკულ ორგანიზატორს:

- ა. რა ტენდენციები შეინიშნება მსოფლიოს საქალაქო მოსახლეობის დინამიკაში 1950-2020 წლებში და რით შეიძლება აიხსნას ეს სიტუაცია?
- ბ. რა ფაქტორებმა განაპირობა საქალაქო და სასოფლო მოსახლეობის რაოდენობის გათანაბრება?
- გ. როგორია საქალაქო და სასოფლო მოსახლეობის ცვლილების პროგნოზი და შენი აზრით, რა ფაქტორები იქნება ამ ცვლილებების გამომწვევი?

გრაფიკული ორგანიზატორის ნიმუში




აქტივობა 6.

ტექსტზე, გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებსა და კონცეპტუალურ სქემაზე მუშაობა.

მოსწავლეები აანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურ. 2.6.-ს, მსჯელობენ და ავსებენ კონცეპტუალურ სქემას:

- ა. რა განსხვავებაა ურბანიზაციის პროცესის სტადიებს შორის და რა ფაქტორებმა განაპირობა ეს განსხვავებულობა?
- ბ. რა კავშირია ურბანიზაციის პროცესის სტადიებსა და დასახლებული არეალების ათვისებას შორის?
- გ. მსჯელობენ ურბანიზაციის ძლიერ და სუსტ მხარეებზე.

კონცეპტუალური სქემის ნიმუში



აქტივობა 7 – შემთხვევის ანალიზის განხილვა


მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 2“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ:

- რა გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა ლანდშაფტზე ნოოსფეროს ფორმირების პროცესში;
- რა მსგავსება-განსხვავებაა ურბანულ და კულტურულ ლანდშაფტებს შორის;
- მსჯელობენ, კონკრეტულად რა გავლენას ახდენს მრეწველობის დარგების განლაგებაზე ტერიტორიული, სატრანსპორტო, ბუნებრივი და შრომითი რესურსების, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორები.

აქტივობა 8 – გრაფიკულ ორგანიზატორებზე მუშაობა

მოსწავლეები სამრეწველო და ურბანული ლანდშაფტების მაგალითების დახმარებით მსჯელობენ მათი შექმნის მიზანზე და თითოეულის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

გრაფიკული ორგანიზატორის ნიმუში



მოსწავლეები ეცნობიან ამერიკელი მეცნიერის, კარლ ზაუერის მოსაზრებას კულტურული ლანდშაფტის შესახებ, წარმოადგენენ სქემის სახით და მსჯელობენ, ეთანხმებიან თუ არა ავტორს, რომლის აზრით, „კულტურა არის აგენტი (მოქმედი პირი), ბუნებრივი ტერიტორია – შუამავალი, კულტურული ლანდშაფტი კი შედეგი“.

აქტივობა 9 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 3“-ს და „შემთხვევის ანალიზი 4“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ:

- როგორ შეცვალა ადამიანმა სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის ავსტრალიაში სამრეწველო და ურბანული ლანდშაფტები და როგორ აისახა ეს ყველაფერი გარემოს ცვლილებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე;
- რა მსგავსება-განსხვავებაა ურბანულ თეორიებს შორის, რამდენად მნიშვნელოვანია ამ თეორიების არსებობა და როგორ გადაჭრის ეს თეორიები არსებულ პრობლემებს?
- რატომ წარმოიშვა და გაძლიერდა ლანდშაფტური ურბანიზმი გასული ათწლეულის განმავლობაში?

ნაბიჯი 3.

სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება (შედეგები 1, 2, 3, 4)


- რა როლს ასრულებს ურბანული დაგეგმარების თანამედროვე კონცეფციები ავსტრალიის მდგრადი მომავლის შექმნის პროცესში;

აქტივობა 10 – კოგნიტიურ სქემაზე მუშაობა

მოსწავლეები ეცნობიან ურბანული დაგეგმარების თანამედროვე კონცეფციებს და მსჯელობენ. მოსაზრებებს წარმოადგენენ კოგნიტიური სქემის სახით.

- არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი თავისი სამეურნეო და სამრეწველო ზემოქმედების მასშტაბებითა და მნიშვნელობით თვით ბუნებრივ პროცესებს გაუტოლდა და მძლავრ გეოლოგიურ ფაქტორად მოგვევლინა. ემხრობი თუ არა ამ მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.
- ცნობილი ამერიკელი ლიტერატურათმცოდნე ა. კიაზინი ამტკიცებს, რომ „ცივილიზაციისა და ბუნების „შეხვედრა“ ყოველთვის დრამატულია. ბუნების ტრანსფორმაცია „ადამიანის საკეთილდღეოდ“, როგორი კარგი განზრახვითაც უნდა ხდებოდეს ეს, საბოლოოდ მაინც უკუ-შედეგს იწვევს: სიკეთე ბოროტებად გარდაიქმნება.“ შეაფასე ეს მოსაზრება და გამოხატე შენი აზრი.
- „წარმოება იქ არის სწორად განთავსებული, სადაც არც ერთი გრამი მოპოვებული რესურსი არ იკარგება, სადაც არც ერთი გრამი ნარჩენიც არ წარმოიქმნება, სადაც არაფერი აბინძურებს ჰაერს და წყალს“. რა სახის ტექნოლოგია ჰქონდა მხედველობაში რუს აკადემიკოსს, მინერალოგს ა. ე. ფერსმანს და რა სარგებელი მოაქვს ასეთ ტექნოლოგიებს?
- რატომ დაინტერესდნენ და ჩაერთნენ გარემოსდაცვით საქმიანობაში სამრეწველო კორპორაციები?

კოგნიტიური სქემის ნიმუში



აქტივობა 11 – რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა

- მოსწავლეები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ბიოურბანული ლანდშაფტის შესაქმნელად და არგუმენტირებულად ასაბუთებენ მათ მართებულობასა და უპირატესობას, აკავშირებენ მდგრადი განვითარების მიზნებთან.

შემოქმედებითი დავალება 2

სამიზნე ცნებები

გეოგრაფიული გარსი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება.

საკვანძო შეკითხვა

როგორ დავაინტერესო საზოგადოება ჰიპერტექსტის საშუალებით იმ ფაქტით, თუ როგორ გახდა სინგაპური ყველაზე ბედნიერი ქვეყანა და შეძლო უთანასწორობის შემცირება, რათა დავეხმარო ქვეყნებს ისეთი პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც არსებული უთანასწორობის შემცირებას განაპირობებს?

საკითხი

სინგაპური – სამოთხე დედამიწაზე



დავალების პირობა:

1990 წელს გაეროს ადამიანური განვითარების კომისიის პირველმა მოხსენებამ საფუძველი დაუდო ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ეკონომიკურ ზრდას განიხილავს, როგორც განვითარებისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის საშუალებას და არა თვითმიზანს.

კაცობრიობის განვითარებისთვის აუცილებელია, ადამიანებს მიენიჭოთ მეტი თავისუფლება ცხოვრების წესის არჩევაში. ეს მათ საკუთარი

შესაძლებლობების გამოვლენისა და მაქსიმალურად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს, რაც, თავისთავად ადამიანის ეკონომიკური და შემოქმედებითი წინსვლის საწინდარი იქნება.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდი ყურადღება ეთმობა კავშირს ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანის განვითარებას შორის. ბევრ ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) და ეკონომიკური ზრდა ეროვნული პროგრესის ინდიკატორად იქცა, თუმცა, მშპ არასდროს ყოფილა კეთილდღეობის საზომი.

წარმოიდგინე, რომ ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსის“ („თავისუფლების სახლი“) წევრი ხარ და მონაწილეობა უნდა მიიღო ყოველწლიური ანგარიშის კვლევაში, რომელსაც შემდეგ გაეროს ადამიანის განვითარების ოფისში (HDRO) წარადგენ.

შენი მიზანია, გამოიკვლიო სინგაპურის პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლებების ხარისხი და დაადგინო, როგორ შეძლო ქვეყანამ უთანასწორობის შემცირება.

კვლევის ანგარიში წარმოადგინე პრეზენტაციის დახმარებით.

პრეზენტაციაში საზგასმით წარმოაჩინე:

- ◆ როგორ მოქმედებს გეოგრაფიული მდებარეობა სინგაპურის განვითარებაზე და როგორ შეიცვალა ნოოსფერო;
- ◆ როგორ აისახება სოციალური და ეკონომიკური განვითარება სინგაპურის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე;
- ◆ რა გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკა სხვადასხვა ინდექსის მაჩვენებელზე და როგორ იცვლება სინგაპურის მოსახლეობის ცხოვრების დონე;
- ◆ რა როლი შეასრულა სოციალურ - ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებამ სინგაპურის მდგრად განვითარებაში და როგორ აისახება ეს ადამიანთა კეთილდღეობაზე მომავალში.





პრაქტიკული რჩევები:

- ◆ გაეცანი მდგრადი განვითარების საკითხებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მრჩევლის, ეკონომისტ ჯეფრი დევიდ საქსის (Jeffrey David Sachs) მიერ შემოთავაზებულ „ქვეყნების სიღარიბეში დარჩენის შვიდ მიზეზს“;
- ◆ იმსჯელე, კიდევ რა მიზეზებმა შეიძლება განაპირობოს ქვეყნების სიღარიბეში დარჩენა. პასუხი დაასაბუთე;
- ◆ გამოიკვლიე სინგაპურის გეოგრაფიული მდებარეობის ძლიერი და სუსტი მხარეები; დაადგინე სინგაპურის ბუნებრივი პირობები;
- ◆ განსაზღვრე სინგაპურის სხვადასხვა ინდექსის მაჩვენებელი და ახსენი, რამ განაპირობა ისინი;
- ◆ იმსჯელე, რა ზიანის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის შემოსავლების უთანასწორობას;
- ◆ დაადგინე, რა ურთიერთკავშირია სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას შორის.
- ◆ შეიმუშავე ქვეყნებისთვის რეკომენდაციები, რომლებიც არსებული უთანასწორობის შემცირებაში დაეხმარება მათ.

რესურსები:



▲ გლობალური თავისუფლების სტატუსი
<https://goo.su/evpQta>



▲ სინგაპური
<https://goo.su/B5AWT>



▲ სინგაპურის მდგრადი მომავალი
<https://goo.su/bejMz>



▲ სინგაპურის ეკონომიკური სასწაული – როგორ გამდიდრდა ღარიბი ქვეყანა ერთ თაობაში?
<https://goo.su/KqNGACc>



▲ როგორ იქმნებოდა სინგაპურული სასწაული
<https://goo.su/Quw2>

დავალებაზე მუშაობის ეტაპები:

ნაბიჯი 1.

სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1,2,3,4)

- იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებს გეოგრაფიული მდებარეობა სინგაპურის განვითარებაზე და როგორ შეიცვალა ნოოსფერო

აქტივობა 1 – ინტერაქტიურ რუკაზე მუშაობა

მოსწავლეები პროგრამის გამოყენებით <https://goo.su/Ev4Fhwj> ეცნობიან სინგაპურის გეოგრაფიულ მდებარეობას და ადგენენ, როგორია:

- ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურება და განსაკუთრებულობა და მდებარეობის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- სინგაპურის ბუნებრივი პირობები;

აქტივობა 2 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 3“-ს – „სინგაპური – სამოთხე დედამიწაზე“, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ, რა არის სინგაპურის წარმატების საიდუმლო?

ნაბიჯი 2.

სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3,4)

- როგორ აისახება სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა სინგაპურის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, რა გავლენას ახდენს სახელმწიფო პოლიტიკა სხვადასხვა გლობალური ინდექსის მაჩვენებელზე და როგორ იცვლება სინგაპურის მოსახლეობის ცხოვრების დონე.

აქტივობა 3 – გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებზე მუშაობა

მოსწავლეები სახელმძღვანელოში ეცნობიან გლობალური ინდექსების რუკას და ვებგვერდის, <https://goo.su/MaYtFFs> გამოყენებით ადგენენ, როგორია სინგაპურის პოზიციები სხვადასხვა ინდექსის მიხედვით.

აქტივობა 4 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები გაეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 2“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და ვებგვერდის, <https://goo.su/f9s8V> გამოყენებით ადგენენ;

- როგორ იცვლებოდა:
 - საქართველოს ადამიანური განვითარების ინდექსი 1990-2020 წლებში;
 - გლობალური მშვიდობის ინდექსი;
 - ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი;

მოსწავლეები იმსჯელებენ:

- რატომ უნოდებენ ხშირად ექსპერტები ჯინის ინდექსს „აჯანყების ინდექსს“?
- რა დამოკიდებულება არსებობს დემოკრატიისა და ბედნიერების ინდექსებს შორის?
- რაში მდგომარეობს ფინეთის ბედნიერების ფორმულა?

- რატომ არ არის სინგაპური მონინავე სახელმწიფოების რიგებში და რატომ არ აქვს ბედნიერების ინდექსის მაღალი მაჩვენებელი?
- რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ქვეყნის შესახებ გლობალური ინდექსები?

ნაბიჯი 3.

სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება (შედეგები 1,2,3,4)

- რა როლი შეასრულა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის შემცირებამ სინგაპურის მდგრად განვითარებაში და როგორ შეიძლება შეიცვალოს ადამიანთა კეთილდღეობა მომავალში;

აქტივობა 5 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 1“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე აანალიზებენ და გამოყოფენ სინგაპურისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ მიზეზებს.

აქტივობა 6 – ინტერაქტიურ რუკაზე მუშაობა.

მოსწავლეები ვებგვერდის, <https://goo.su/1025vo> ინტერაქტიური რუკის გამოყენებით არკვევენ, თუ როგორ შეიცვალა სიღარიბის მაჩვენებელი ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, სინგაპურსა და საქართველოში.


ინფორმაციის გაცნობის შემდეგ ისინი იმსჯელებენ:

- შეძლებენ თუ არა სიღარიბის მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნები მდგომარეობის გამოსწორებას და რა უნდა გააკეთონ ამისთვის?
- შემოსავლების უთანასწორობას საზოგადოებისთვის უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია თუ სარგებლის?
- რა კავშირია სიღარიბესა და ეკონომიკურ უთანასწორობას შორის?
- უთანასწორობის ინდექსებიდან რომელი გვიჩვენებს რეალურ სურათს?
- რამდენად მართებულად მიაჩნიათ ზოგიერთი ეკონომისტ-ექსპერტის მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ შემოსავლების უთანასწორობა შეიძლება დადებით კონტექსტშიც იყოს განხილული და მას, როგორც ადამიანთა უნარისა და შესაძლებლობების განვითარება-გამოყენების მოტივატორს, ისე უნდა შევხედოთ.
- რა სირთულეებთანაა დაკავშირებული გენდერული თანასწორობის მიღწევა?
- არის თუ არა განსხვავება სიტყვებს – „თანასწორობასა“ და „სამართლიანობას“ შორის?

აქტივობა 7 – გრაფიკულ ორგანიზატორზე მუშაობა

მოსწავლეები თეზისების სახით ჩამოაყალიბებენ უთანასწორობის შემცირების გზებს და მოჰყავთ თავიანთი მოსაზრების დამამტკიცებელი არგუმენტები.

ჩემი მოსაზრება



შედეგები და დასკვნა 3

სამიზნე ცნებები

მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება

საკვანძო შეკითხვა

როგორ წარმოვაჩინო ინტერვიუს საშუალებით ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation-ის (მაიკროსოფტის კორპორაცია) როლი მდგრადი განვითარებისა და გლობალური ეკონომიკის განვითარების პროცესში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით?

საკითხი

ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation (მაიკროსოფტის კორპორაცია)



დავალების პირობა:

თანამედროვე პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობამ უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია და ვაჭრობასა და ფინანსურ სფეროში წამყვანი ადგილი დაიკავა. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოს გლობალური ეკონომიკისა და სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური თუ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პროცესში.

ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა ზრდის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემოღინებას, ხელს უწყობს ბიზნესის სოციალური გარემოს გაუმჯობესებას და სოციალური პრობლემების მოგვარებას, უმუშევრობის დონის შემცირებას, შრომით საქმიანობაში ახალი სტანდარტების დანერგვას, ცოდნის კომერციალიზაციას, ინოვაციური ტექნოლოგიების დახვეწასა და ათვისებას და ა.შ.

წარმოიდგინე, რომ ჟურნალ Forbes-ის წარმომადგენელი ხარ და ტრანსნაციონალური კომპანიების რეიტინგების დადგენაზე მუშაობ. ერთ-ერთმა ტელევიზიამ, ასეთი კომპანიების საქმიანობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, გადაცემაში მიგიწვია. შენი მიზანია, ინტერვიუს დროს მაყურებელს გააცნო ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation-ის საქმიანობა სხვადასხვა რაკურსით, მათ შორის სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებისთვის შესრულებული აქტივობებიც. ამისთვის შეისწავლე Microsoft Corporation-ის საქმიანობა სხვადასხვა მიმართულებით.

ინტერვიუში საზგასმით წარმოაჩინე:

- ◆ რა გავლენას ახდენენ ზოგადად ტრანსნაციონალური კომპანიები და კონკრეტულად Microsoft-ის კორპორაცია გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე;
- ◆ რა როლს ასრულებს მაიკროსოფტის კორპორაცია სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში;
- ◆ როგორ შეიცვლება მომავალში მაიკროსოფტის კორპორაციის საქმიანობა და როლი გლობალურ სამყაროში.





პრაქტიკული რჩევები:

- ◆ გაეცანი ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation-ის არსსა და ძირითად მახასიათებლებს;
- ◆ დაადგინე, სად და როგორ ჩამოყალიბდა პირველი ტრანსნაციონალური კომპანიები;
- ◆ გააანალიზე Microsoft Corporation-ის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- ◆ იმსჯელე ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation-ის განვითარების ეტაპებისა და გავრცელების არელების გაფართოების ურთიერთკავშირზე;
- ◆ განსაზღვრე Microsoft Corporation-ის გავლენა ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე;
- ◆ გააანალიზე, რა როლს ასრულებს ის სოციალური გარემოს გაუმჯობესებასა და სოციალური პრობლემების მოგვარებაში, უმუშევრობის დონის შემცირებაში, შრომის ახალი სტანდარტების დანერგვაში, ცოდნის კომერციალიზაციაში, ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებაში, გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში და ა.შ.
- ◆ ივარაუდე ტრანსნაციონალური კომპანია Microsoft Corporation-ის სამომავლო პერსპექტივები და არგუმენტირებულად დაასაბუთე მათი უპირატესობა.

რესურსები:



▲ უმსხვილესი კომპანიები მსოფლიოში
<https://goo.su/cK70>



▲ Forbes Global 2020
www.forbes.com/global2000/list;
www.world-exchanges.org



▲ Microsoft-ის CEO: კომპანიის შემოსავალმა 2030 წლისთვის \$500 მილიარდს უნდა მიაღწიოს
<https://goo.su/Xmey>



▲ კომპანია Microsoft
<https://goo.su/aMwMy>



▲ დახმარება კაცობრიობის უდიდეს გამოწვევებთან გამკლავებაში
<https://goo.su/Q1pOhAZ>

დავალებაზე მუშაობის ეტაპები:


ნაბიჯი 1. სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3,4)

რა გავლენას ახდენენ ზოგადად ტრანსნაციონალური კომპანიები და კონკრეტულად Microsoft-ის კორპორაცია გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაზე – გაეცანი რესურსებს.

აქტივობა 1 – შემთხვევის ანალიზის განხილვა


- მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 4-ს და უპასუხებენ თანდართულ კითხვებს.
- მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზს 1-ს და 2-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ, როგორ ყალიბდებოდა ტრანსნაციონალური კომპანიები და რა ძირითადი მახასიათებლებით გამოირჩევიან ისინი. მოსწავლეები გრაფიკული ორგანიზატორის საშუალებით ინფორმაციას წარმოადგენენ ვიზუალურად.

გრაფიკული ორგანიზატორის ნიმუში



აქტივობა 2 – მუშაობა გრაფიკულ ორგანიზატორებზე

- მოსწავლეები ვებგვერდზე, <https://goo.su/hFcbx> ეცნობიან რესურსს – „დახმარება კაცობრიობის უდიდესი გამონგვევების გადაჭრაში“ და მსჯელობენ, რა როლს ასრულებს Microsoft-ის კორპორაცია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში. გრაფიკულ ორგანიზატორში აჯგუფებენ კორპორაცია Microsoft-ის დადებით და უარყოფით მხარეებს.



აქტივობა 3 – შემთხვევის ანალიზის განხილვა

მოსწავლეები ჯგუფებში ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 3“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე ხსნიან, რა როლს ასრულებენ ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალურ ეკონომიკაში.

აქტივობა 4 – ვიდეოსა და ტექსტის ანალიზი

მოსწავლეები ჯგუფებში ეცნობიან ვებგვერდს, <https://goo.su/7nWrb6t> და განიხილვენ რესურსებს: „Microsoft-ის CEO: კომპანიის შემოსავალმა 2030 წლისთვის \$500 მილიარდს უნდა მიაღწიოს“ და „დახმარება კაცობრიობის უდიდესი გამონვევების გადაჭრაში“.

რესურსების გაცნობის შემდეგ მათ უნდა:

- ახსნან, რა იგულისხმება Microsoft-ის და ზოგადად ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ათვისებულ ახალი რეგიონებში, ახალ ბაზრებსა და ეკონომიკის ახალ დარგებში;
- იმსჯელონ, რა როლს ასრულებენ ტრანსნაციონალური კომპანიები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პროცესში;
- რა სარგებელს მოუტანს ტრანსნაციონალური კომპანიები ადგილობრივ მოსახლეობას და რა უარყოფითი გავლენა ექნება მათ?

ნაბიჯი 2.

- რა როლს ასრულებს Microsoft-ის კორპორაცია სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში;


აქტივობა 6 – მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს და სქემის გამოყენებით ხსნიან, თუ რა დამოკიდებულება არსებობს გლობალიზაციის პროცესსა და ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის.

კითხვები:

- რამდენად ითვალისწინებს კომპანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენას ორგანიზაციის განვითარებაზე და რა გავლენა აქვს კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას (CSR) ორგანიზაციის კულტურულ და სოციალურ სისტემაზე?
- როგორია კომპანიების დამოკიდებულება და ხედვა CSR პროექტების პოზიტიურ თუ ნეგატიურ ეფექტებთან დაკავშირებით?
- ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის კეთილი ნება, გადაჭრას ის პრობლემები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამონვეულია ბიზნესის საქმიანობით“?

გრაფიკული ორგანიზატორის ნიმუში



ნაბიჯი 3.

- როგორ შეიცვლება მომავალში კორპორაცია Microsoft-ის საქმიანობა და როლი გლობალურ სამყაროში.

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მიცემულ ინფორმაციასა და დამატებით რესურსებს და მსჯელობენ:

- რა როლი შეასრულეს ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში?
- რა რისკების წინაშე დგანან ტრანსნაციონალური კომპანიები?
- რა ნეგატიური გავლენა აქვთ ტრანსნაციონალურ კომპანიებს გლობალურ ეკონომიკაზე?

შემოქმედებითი დავალება 4

სამიზნე ცნებები

გეოგრაფიული გარსი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება

საკვანძო შეკითხვა

როგორ დავარწმუნო TEDx-ის საშუალებით საზოგადოება საქართველოში გეოპარკების შექმნის საჭიროებაში ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის?

საკითხი

ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი



დავალების პირობა:

გეოპარკი ეროვნული დონის დაცული ტერიტორიაა, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გეოლოგიურ მემკვიდრეობას იცავენ. ის გარემოს დაცვის, განათლებისა და მდგრადი განვითარების ინტეგრირებული კონცეფციის ნაწილია.

ორგანიზაცია „გლობალური გეოპარკების ქსელი“ იუნესკოს ოფიციალური პარტნიორია და ამ ორგანიზაციის გეოპარკებს კურირებს. ქსელის წევრები ვალდებული არიან

ითანამშრომლონ და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, გააცნონ საუკეთესო პრაქტიკა და განახორციელონ ერთობლივი პროექტები იუნესკოს გლობალური გეოპარკების საუკეთესო ხარისხის სტანდარტების დასამკვიდრებლად.

წარმოიდგინე, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია გეოპარკების გლობალური ქსელის (GGN) წარმომადგენელი ხარ და საქართველოში გეოპარკის შექმნის საჭიროებაზე საზოგადოების ინფორმირება გევალება. გეოპარკების შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაძიებლად ფანდის ყურის კლდეების გეოპარკში მიგავლინეს. შენი მიზანია TEDx ღონისძიებაზე გამოსვლა და საქართველოს მთავრობისა და მოქალაქეების დარწმუნება ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის გეოპარკების შექმნის საჭიროებაში.

TEDx ღონისძიებაზე საზგასმით წარმოაჩინე:

- ◆ რა ფაქტორებმა განაპირობა ფანდის ყურის კლდეების გეოპარკის ჩამოყალიბება;
- ◆ რა როლს ასრულებს ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში;
- ◆ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკას გეოპარკების შექმნისა და ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარების პროცესში;
- ◆ რატომ არის ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი მნიშვნელოვანი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

პრაქტიკული რჩევები:

- ◆ გაარკვე, რა არის TEDx.





- ◆ ვებგვერდის, <https://goo.su/tbtYL> საშუალებით გაეცანი ფანდის ყურის კლდეების გეოპარკს და დაადგინე მისი ბუნებრივი პირობები და მნიშვნელოვანი გეოლოგიური, ეკოლოგიური და კულტურული მახასიათებლები;
- ◆ იმსჯელე ფანდის ყურის კლდეების გეოპარკის მნიშვნელობაზე ქვეყნის მდგრად განვითარებაში;
- ◆ გამოიკვლიე ფანდის ყურის კლდეების გეოპარკის გავლენა გარემოს ცვლილებაზე;
- ◆ დაადგინე ფანდის ყურის კლდეების გეოპარკის გავლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე;
- ◆ იმსჯელე გეოპარკების ქსელის შემდგომი გაფართოების საჭიროებაზე;
- ◆ შეაფასე საქართველოში გეოპარკების შექმნის აუცილებლობა და პერსპექტივები;
- ◆ წარმოადგინე შენი ხედვა საქართველოში გეოპარკების შესაძლო ადგილმდებარეობის შესახებ.

რესურსები:



▲ TED-ის შესახებ
<https://netgazeti.ge/news/41289/>



▲ TedxTbilisi – ინოვაციისა და ტრადიციის შეპირისპირება!
<https://goo.su/mlZ9>



▲ გლობალური გეოპარკების ქსელი
<https://goo.su/Xfz J9i>



▲ იუნესკოს გლობალური გეოპარკები
<https://goo.su/E22 ERO>



▲ ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი
<https://goo.su/APwrtYc>



▲ ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი
<https://goo.su/IRkp>



▲ ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი
<https://goo.su/DIHQ1>



▲ ევროპის გეოპარკების ქსელი
<https://goo.su/hcvG6C>



▲ ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი
<https://goo.su/Be3RVJ2>

დავალებაზე მუშაობის ეტაპები:

სამიზნე ცნებები

გეოგრაფიული გარსი; მოსახლეობა და მეურნეობა; მდგრადი განვითარება;

ნაბიჯი 1.

- რა ფაქტორებმა განაპირობა ფანდის ყურის კლდეების გეოპარკის ფორმირება.

აქტივობა 1 – ინფორმაციის ვიზუალიზაცია გრაფიკული ორგანიზატორით:

მოსწავლეები ვებგვერდის, <https://goo.su/tbtYL> საშუალებით ეცნობიან ფანდის ყურის კლდეების გეოპარკს, ადგენენ პარკის ბუნებრივ პირობებსა და მნიშვნელოვან გეოლოგიურ, ეკოლოგიურ და კულტურულ მახასიათებლებს და ავსებენ სქემას

გეოლოგიური	
ეკოლოგიური	
კულტურული	

აქტივობა 2 – შემთხვევის ანალიზზე მუშაობა

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ „შემთხვევის ანალიზი 3“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და ამის საფუძველზე მსჯელობენ:

- რა მიზეზებმა განაპირობა ფანდის ყურის გეოპარკის დაარსება და რით განსხვავდება ის სხვა ტიპის დაცული ტერიტორიებისგან?
- რა გავლენას ახდენს ანთროპოგენური ფაქტორი გეოპარკებზე?

მოსწავლეები მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ავსებენ სქემას.

ნაბიჯი 2.

- რა როლს ასრულებს ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი ქვეყნის ეკონომიკასა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში და რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკას გეოპარკების შექმნისა და ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარების პროცესში.

აქტივობა 3 – შემთხვევის ანალიზზე მუშაობა

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას, მათ შორის, „შემთხვევის ანალიზი 1“-ს, უპასუხებენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ:

- რომელმა გეოპოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა იუნესკოს შექმნა და რა პროგრამებისგან შედგება იგი?
- რატომ შეარჩია იუნესკომ თავის საქმიანობაში ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: განათლება, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, სოციალური და ჰუმანური მეცნიერებები, კულტურა და კომუნიკაციები და ინფორმაცია.
- რა იგულისხმება მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლებში?
- რა როლს ასრულებს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ობიექტების არსებობა რომელიმე ქვეყნის ეკონომიკის და განსაკუთრებით, ტურისტული ინდუსტრიის განვითარების საქმეში?

ნაბიჯი 3

- რატომ არის ფანდის ყურის კლდეების გეოპარკი მნიშვნელოვანი ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვის.

აქტივობა 4 – TED-ზე გამოსვლისთვის მზადება

მოსწავლეები უპასუხებენ კითხვებს და ამზადებენ TED-ისთვის გამოსვლას:

- რატომ განსხვავდება მსოფლიო რეგიონები მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობისა და სიხშირის მიხედვით?
- რატომ არის მსოფლიო მემკვიდრეობის ბუნებრივი ობიექტები შედარებით თანაბრად განაწილებული, ვიდრე კულტურული ობიექტები?
- რომელი ფაქტორები უქმნის საფრთხეს მსოფლიოს მემკვიდრეობის ობიექტებს?

6. დაგეგმვითი მასალა

თემა: 1. განვითარებადი და განვითარებული სამყარო

2. ურბანიზაცია

ურბანიზაციის დადებითი და უარყოფითი ასპექტები

დადებითი მხარეები	უარყოფითი მხარეები
<p>ეკონომიკა: ხელს უწყობს ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ქალაქების გარშემო მოსავლიანობის ზრდისა და ნატურალური მეურნეობიდან (როდესაც პროდუქცია ინარმოება ძირითადად საკუთარი ოჯახის გამოსაკვებად) კომერციულ მეურნეობაზე (როდესაც პროდუქცია ინარმოება ძირითადად ბაზარზე გასაყიდად) გადასვლის გზით.</p>	<p>ბინით უზრუნველყოფა: ბინით (საცხოვრისით) უზრუნველყოფის სოციალური და ეკონომიკური პრობლემები იწვევს ვრცელი უკანონო დასახლებების შექმნას, სადაც საცხოვრებელი და კომუნალური პირობები ძალიან მძიმეა.</p>
<p>მომსახურება: იზრდება ხელმისაწვდომობა უკეთეს მომსახურებაზე, როგორცაა წყალი და ენერგომომარაგება, კანალიზაცია, ჯანდაცვა, განათლება.</p>	<p>უმუშევრობა: ქალაქებში მიგრანტების მოზღვავება იწვევს უმუშევრობის ზრდას და არაფორმალური სექტორის გაფართოებას.</p>
<p>შემოსავლების ზრდა: დროებითი, შედარებით დაბალანაზღაურებადი სამუშაო ქალაქის არაფორმალურ სექტორშიც კი უფრო მეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე ნატურალური სოფლის მეურნეობა.</p> <p>ქალაქში ჩამოსული მიგრანტების უმრავლესობა ვერ შოულობს სამსახურს ფაბრიკა-ქარხნებში. სამაგიეროდ, ისინი საქმდებიან არაფორმალურ სექტორში: მაგ., ქუჩაში ყიდვიან ხილსა და ბოსტნეულს, სიგარეტსა და სხვა პროდუქტებს, მუშაობენ ფეხსაცმლის მწმენდავებად ან კერძო სახლებში გახსნილ პატარა სახელოსნოებში.</p>	<p>სატრანსპორტო და ეკოლოგიური პრობლემები: იქმნება სატრანსპორტო „საცობები“, იზრდება გარემოს (ჰაერის, წყლის, ტერიტორიის) დაბინძურების დონე, მატულობს სხვადასხვა დაავადების წარმოშობისა და გავრცელების ალბათობა.</p>

<p>გაუმჯობესების შესაძლებლობები: ქალაქებში ქონმახეხისა და ბარაკებში ცხოვრებაც კი საზოგადოებრივ „კიბზე“ წინგადადგმულ ნაბიჯად ითვლება, რადგან უკეთეს შესაძლებლობებს უქმნის მომავალ თაობას – ზოგჯერ ამას „იმედის ჯურღმულებს“ ეძახიან; არაფორმალურ სექტორში საქმიანობამ შეიძლება ზოგიერთი ისეთი უნარ-ჩვევა შესძინოს მიგრანტს, რაც მომავალში უკეთესი სამუშაოს საშოვნელად გამოადგება; გარდა იმისა, რომ მცირდება მოსახლეობის „დანოლა“ სასოფლო არეალებზე, მიგრანტების შემოსავლების გარკვეული ნაწილი გადადის მათ მშობლიურ სოფლებში.</p>	<p>სოციალური სეგრეგაცია თვალსაჩინოდ იზრდება ინტერვალი („უფსკრული“) მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ხდება ქონებრივი და სოციალური სტატუსის მიხედვით საზოგადოების მკვეთრი დაყოფა, რაც ტერიტორიულადაც აისახება: ჩნდება ქალაქის „მდიდარი“ (პრესტიჟული) და „ღარიბი“ (კეთილმოუნყობელი) უბნები, სადაც მატულობს კრიმინალური ფონი. ჩნდება პროტესტების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების საფრთხე.</p>
	<p>პრობლემები სოფლად: ზოგიერთ სასოფლო არეალში წარმოიშობა შრომისუნარიანი მოსახლეობის დეფიციტი, რაც უარყოფითად აისახება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებასა და სასოფლო გარემოს კეთილდღეობაზე.</p>

გლობალიზაციისა და მსოფლიო ქალაქების კვლევის ქსელი

გლობალიზაციისა და მსოფლიო ქალაქების კვლევის ქსელი (GaWC) ანალიტიკური ცენტრია, რომელიც შეისწავლის მსოფლიო ქალაქებს შორის ურთიერთობებს გლობალიზაციის კონტექსტში. ორგანიზაცია გაერთიანებულ სამეფოში, ლაფბოროს უნივერსიტეტის გეოგრაფიის განყოფილებაში გეოგრაფიის პროფესორმა პიტერ ჯ. ტილორმა 1998 წელს დააარსა ჯონ ბივერსტოკთან და რიჩარდ გ. სმიტთან ერთად. მეცნიერები მსოფლიო ქალაქებს ყოფენ „ალფა“, „ბეტა“ და „გამა“ დონეებად.

გლობალიზაციისა და მსოფლიო ქალაქების კვლევის ქსელის ფილიალები განთავსებულია ნიუ-იორკში, პარიზში, ლონდონში, ტოკიოში, ბეიჯინგში, ჰონგ კონგში, სინგაპურში, შანხაისა და დუბაიში.

გლობალიზაციისა და მსოფლიო ქალაქების კვლევის ქსელი სწავლობს და აფასებს მსოფლიო ქალაქებს ოთხი „მოწინავე მწარმოებელი სერვისის“ მიხედვით: ბულალტერია, რეკლამა, საბანკო/ფინანსური სერვისები და სამართალი. ქსელი ქალაქის ეკონომიკას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე პოლიტიკურ ან კულტურულ ფაქტორებს.

თუ გინდა მეტი შეიტყო გლობალური ქალაქების შესწავლის ქსელის შესახებ, ენვიე ვებგვერდს: <https://goo.su/mtop>



<https://goo.su/mtop>

6. გლობალური ინდექსები

ინოვაციის გლობალური ინდექსი

ინოვაციის გლობალური ინდექსი (The Global Innovation Index) გვიჩვენებს მსოფლიოს ქვეყნების რეიტინგს ინოვაციების განვითარების დონის მიხედვით. ინდექსს საერთაშორისო ბიზნეს სკოლის INSEAD (საფრანგეთი) მეთოდით ანგარიშობენ. პირველი კვლევა 2007 წელს ჩატარდა და დღესდღეობით სხვადასხვა ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ინდექსი ინდიკატორების ყველაზე სრულყოფილ კომპლექსად ითვლება. ინოვაციის გლობალური ინდექსი შედგენილია 80 სხვადასხვა მაჩვენებლით, რომლებიც დეტალურად ახასიათებს მსოფლიოს ქვეყნების ინოვაციურ განვითარებას.

ინდექსის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ეკონომიკის წარმატება დაკავშირებულია როგორც ინოვაციური პოტენციალის სიდიდესთან, ისე მისი განხორციელების პირობებთან, ამიტომ ინდექსს ძირითადად მაჩვენებლების 2 ჯგუფის ჯამით ანგარიშობენ: არსებული რესურსები და ინოვაციების განხორციელების პირობები (Innovation Input) და ინოვაციის განხორციელებისას მიღწეული პრაქტიკული შედეგები (Innovation Output).

ინდექსის ანგარიშში ქვეყნების შედეგები განხილულია როგორც ეკონომიკური ჯგუფების (მაღალი შემოსავლის, ზედა-საშუალო, ქვედა-საშუალო და დაბალი შემოსავლის ქვეყნები), ასევე რეგიონულ ჭრილში.

ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნები	ჩრდილოეთი ამერიკა	საპარის სამხრეთი აზრია	ევროპა	ჩრდილოეთი აზრია და დასავლეთი აზია	ცენტრალური და სამხრეთი აზია	სამხრეთ-აღმოსავლეთი და აღმოსავლეთი აზია, ოკეანეთი
ჩილე ბრაზილია მექსიკა	აშშ კანადა	სამხრეთი აფრიკა ბოტსვანა კენია	შვედეთი შვეიცარია გაერთიანებული სამეფო	ისრაელი აგს თურქეთი	ინდოეთი ირანის ისლამური რესპუბლიკა უზბეკეთი	კორეის რესპუბლიკა სინგაპური ჩინეთი



მსოფლიოს რეგიონებში ლიდერი ქვეყნები გლობალური ინოვაციების ინდექსის მიხედვით, 2022 წელი

ინოვაციების გლობალური ინდექსის კვლევის ფარგლებში საქართველო განხილულია როგორც ზედა-საშუალო შემოსავლის ქვეყანა და 21-ე ადგილზეა ამ კატეგორიის 36-წევრიან ჯგუფში.

რეგიონულ ჭრილში საქართველო მიკუთვნებულია დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ჯგუფს, ისეთ ქვეყნებთან ერთად, როგორებიცაა: არაბთა გაერთიანებული საამიროები, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ლიბანი, საუდის არაბეთი, იორდანია, ტუნისი და ა.შ. 2023 წლის გლობალური ინოვაციის ინდექსის რეიტინგების მიხედვით საქართველო შარშანდელთან შედარებით, 9 პოზიციით დაწინაურდა და მსოფლიოს 132 ქვეყანას შორის 65-ე ადგილზეა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მისიაა ქვეყანაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებისთვის საჭირო ეკოსისტემის ფორმირება, ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში, ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური პროდუქტების ექსპორტის ზრდისთვის საჭირო გარემოს შექმნა და ქვეყნის მასშტაბით მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარება.

ამ მიზნების მისაღწევად სააგენტო გეგმავს, გაზარდოს საკუთარი ინფრასტრუქტურული სისტემები ინოვაციების დასაწვდომად და ტექნოლოგიების განსავითარებლად, უზრუნველყოს ინოვაციების კომერციალიზაციის მძლავრი მექანიზმების ფორმირება ქვეყნის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების პრიორიტეტების მიხედვით; ხელი შეუწყოს სარისკო კაპიტალის წილის, ასევე კერძო კომპანიების თანამონაწილეობის ზრდას გამოყენებით კვლევებში და ინოვაციების კომერციალიზაციის პროცესში, ჩამოაყალიბოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის საჭირო ეფექტური მექანიზმები, მათ შორის – დისტანციური სწავლების ინსტრუმენტების აქტიური გამდიდრების გზით.

ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერით განვითარდა ინოვაციების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურა, გაიხსნა საქართველოში პირველი ტექნოლოგიური პარკი, რომელიც ერთი ფანჯრის პრინციპით უწევს მომსახურებას ნოვატორებს და სტარტაპებს. მთელი საქართველოს მასშტაბით შეიქმნა სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიები, გამოგონებების პროტოტიპების შესაქმნელად და გამოსაცდელად.

ინოვაციების სააგენტომ ორგანიზება გაუწია მომავლის პროფესიების მიმართულებით ტრენინგების ჩატარებას, რის საფუძველზეც გადამზადდა 5000-ზე მეტი ახალგაზრდა.

ინოვაციების სააგენტოს ავტორობით შემუშავდა ინოვაციების შესახებ საქართველოში პირველი საკანონმდებლო ჩარჩო დოკუმენტი. ამ კანონით სახელმწიფოში მნიშვნელოვნად მონესრიგდა ინოვაციური საქმიანობის დაფინანსება, ინოვაციების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურების განვითარება, შეიქმნა მექანიზმები, რომლებიც იცავს მეცნიერთა და მომგონებელთა სამართლებრივ უფლებებს.

კანონი განამტკიცებს ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას და ერთ-მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სახელმწიფოს ჩაურევლობას საპატენტო უფლებებში. გარდა ამისა, კანონი შესაძლებელს ხდის ინოვაციების სააგენტოს მიერ სახელმწიფო გრანტების გაცემას მენარმე სუბიექტებზე ინოვაციური საქმიანობის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ „ინოვაციების შესახებ“ საქართველოს კანონი დაფუძნებულია აშშ-ის **Bay Dole** კანონზე, რომლის მიღებასაც აშშ-ში ინოვაციების სწრაფი განვითარება, კერძო სექტორის ჩართულობისა და კომერციალიზაციის დონის ზრდა მოჰყვა.

თუ გინდა მეტი შეიტყო საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შესახებ, ენვიე ვებგვერდს, <https://gita.gov.ge/>



<https://gita.gov.ge/>

თემა 2. გლობალური თანამშრომლობა და კავშირები

8. ტრანსნაციონალური კომპანიები და რემიტანსები

ტრანსნაციონალური კომპანიების ძირითადი ტიპები



ტრანსნაციონალურ კორპორაციებს აქვთ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარეებს შორის აღსანიშნავია:

- გლობალიზაციის ეპოქაში ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში.
- პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდას და უმუშევრობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, საგარეო-სავაჭრო ღონისძიებების განმტკიცებას.
- ტრანსნაციონალური კორპორაციები ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე

აპრობირებული ინსტიტუტების – შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების გაფორმებისა და სხვა გამოცდილების წარმატებულ გადატანას და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ასრულებენ ისეთ საწარმოო და საინვესტიციო ფუნქციებს, როგორცაა: პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება, ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა და სხვა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების უარყოფითი მხარეებია:

- ბაზრის მონოპოლიზაცია – როდესაც კორპორაციებს უზნდებათ შედარებით მცირე ზომის კონკურენტები, მათ დემპინგური ფასების დაწესებით ანადგურებენ, შემდეგ კი ზრდიან ფასებს და იღებენ ზემოგებას;
- პატარა სახელმწიფოებს ექმნებათ სუვერენიტეტის საფრთხე იქიდან გამომდინარე, რომ ტნკ-ები ფლობენ დიდ ფინანსურ სიმძლავრეებს და ამასთანავე პოლიტიკურ მხარდაჭერას, მათ შეუძლიათ უკარნახონ თავიანთი პირობები არა მხოლოდ კონკურენტებს, არამედ სახელმწიფოებსაც კი, რაც, რა თქმა უნდა, ცუდად მოქმედებს ნებისმიერ ქვეყანაზე;
- გარემოსდაცვითი საფრთხე – სახელმწიფოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზეწოლის შედეგად, რომლებსაც შემოაქვთ სულ უფრო მკაცრი გარემოსდაცვითი ნორმები და ზრდიან გადასახადებს გარემოს ეკოლოგიური დაბინძურებისათვის, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს თავისი „ჭუჭყიანი“ წარმოებები განვითარებად ქვეყნებში გადააქვთ.

სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ჟურნალები და ორგანიზაციები ყოველწლიურად აქვეყნებენ წარმატებული ტრანსნაციონალური კომპანიების მონაცემებს. მაგალითად, ჟურნალი „Fortune“ ყოველწლიურად აქვეყნებს რეიტინგს, სახელწოდებით „Global 500“, სადაც შესულია 500 ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე კომპანია.


თანრიბი	კომპანია	ქვეყანა	მრეწველობის დარგი	შემოსავალი მლრდ აშშ დოლარი
1	უოლმარტი (Walmart)	აშშ	საცალო ვაჭრობა	572.8
2	ამაზონი (Amazon)	აშშ	ინტერნეტ სერვისი და საცალო ვაჭრობა	469.8
3	State Grid	ჩინეთი	ენერგეტიკა	460.6
4	ჩინეთის ეროვნული ნავთობი (China National Petroleum)	ჩინეთი	ნავთობი	411.7
5	სინოპეკ ჯგუფი (Sinopec Group)	ჩინეთი	ნავთობი	401.3
6	საუდი არამკო (Saudi Aramco)	საუდის არაბეთი	ენერგეტიკა	400.4
7	ეპლი (Apple)	აშშ	ტექნოლოგიები	365.8
8	ფოლკსვაგენი (Volkswagen)	გერმანია	საავტომობილო	295.8
9	ჩინეთის სახელმწიფო სამშენებლო ინჟინერია (China State Construction Engineering)	ჩინეთი	მშენებლობა და ინჟინერია	293.7
10	CVS ჯანმრთელობა (CVS Health)	აშშ	ჯანდაცვა	292.1

▲ „Fortune 500 Global“-ის მიერ გამოქვეყნებული წამყვანი 10 ტრანსნაციონალური კომპანია, 2023 წელი

„The Forbes Global 2000“ ჟურნალი „Forbes“ მიერ ყოველწლიურად გამოქვეყნებული მსოფლიოს 2000 საუკეთესო კომპანიის რეიტინგია, რომელიც 4 ძირითად მაჩვენებელს ეფუძნება: გაყიდვები, მოგება, აქტივები და საბაზრო ღირებულება. აღნიშნული სია 2003 წლიდან ქვეყნდება და ნებისმიერი სამრეწველო მიმართულების მქონე წამყვანი კომპანიების მონაცემებს მოიცავს.

Forbes Global 2000-ის თანახმად, ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვი მსოფლიოს ტოპ ქვეყნების მიხედვით, 2023 წელს ასე გამოიყურებოდა: ტოპ 10 ქვეყანა: აშშ – 595, ჩინეთი – 297, იაპონია – 196, სამხრეთი კორეა – 67, კანადა – 58, გაერთიანებული სამეფო – 64; ინდოეთი – 55; საფრანგეთი – 65; ჰონგ-კონგი – 54; გერმანია – 52, ტაივანი – 48, შვეიცარია – 40, შვედეთი – 32, ავსტრალია – 30, იტალია – 21, ნიდერლანდები – 24, რუსეთი – 24, ბრაზილია – 23, ესპანეთი – 21, ირლანდია – 21.

აღმზღველი	კომპანია	სათავმო ოფისი	აკონომიკის დარგი	გაყიდვები (მლრდ აშშ დოლარი)
1	ბერკჰირე ჰათაუეი (Berkshire Hathaway)	ომაჰა	კონგლომერატი	276.1
2	ჩინეთის ინდუსტრიული და კომერციული ბანკი (Industrial and Commercial Bank of China)	ბეიჯინგი	საბანკო და საფინანსო სერვისი	208.1
3	საუდი არამკო (Saudi Aramco)	დაჰრანი	ნავთობი და ბუნებრივი აირი	400.4
4	JP Morgan Chase	ნიუ-იორკი	საბანკო და საფინანსო სერვისი	124.5
5	ჩინეთის სამშენებლო ბანკი (China Construction Bank)	ბეიჯინგი	საბანკო და საფინანსო სერვისი	202.1
6	ამაზონი (Amazon.com, Inc.)	სიეტლი	საცალო მაღაზია	469.8
7	ეპლი (Apple Inc.)	კუპერტინო	კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა	678.7
8	ჩინეთის აგრიკულტურული ბანკი (Agricultural Bank of China)	ბეიჯინგი	საბანკო და საფინანსო სერვისი	181.4
9	ამერიკის ბანკი (Bank of America)	შარლოტა	საბანკო და საფინანსო სერვისი	96.8
10	ტოიოტა მოტორსი (Toyota Motor)	ტოიოტა	ავტომობილები	281.8

 მსოფლიოს უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები Forbes Global 2000-ის მიხედვით (2022 წელი).

11. მსოფლიო ოკეანის დაბინძურება

იუნესკოს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისია (IOC) გაერთიანებული ერების ორგანიზაციაა, რომელიც პასუხისმგებელია მსოფლიო ოკეანის მეცნიერულ შესწავლასა და სერვისების მხარდაჭერაზე. კომისიის მიზანია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას და კოორდინაცია გაუწიოს კვლევებს, სერვისებისა და შესაძლებლობების

განვითარებას, რათა მეტი ინფორმაცია მიიღოს ოკეანისა და სანაპირო ზონების ბუნებისა და რესურსების შესახებ და ეს ცოდნა მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად გამოიყენოს.

იუნესკოს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის მიზნებია:

- ჯანსაღი ოკეანე და ოკეანის მდგრადი ეკოსისტემის მომსახურება;
- ეფექტური გამაფრთხილებელი სისტემების დანერგვა და ცუნამისა და ოკეანესთან დაკავშირებული სხვა საფრთხეებისთვის მზადყოფნა;
- კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობა და მის შერბილებაში წვლილის შეტანა;
- მეცნიერულად დაფუძნებული სერვისები ოკეანის მდგრადი ეკონომიკისთვის;
- ოკეანის პრობლემების პროგნოზირება.

კომისია, რომელშიც 150 სახელმწიფოა გაერთიანებული, მხარს უჭერს ყველა წევრ სახელმწიფოს, განავითარონ თავიანთი სამეცნიერო და ინსტიტუციური შესაძლებლობები გლობალური მიზნების, მათ შორის მდგრადი განვითარების, კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებისა და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ სენდაის ჩარჩო პროგრამის მიზნების მისაღწევად.



თუ გინდა მეტი შეიტყო იუნესკოს საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ოკეანოგრაფიული კომისიის (IOC) შესახებ, ენვიე ვებგვერდს: <https://ioc.unesco.org/about>



<https://ioc.unesco.org/about>

13. საერთაშორისო ორგანიზაციები

გაერო – საერთაშორისო თანამშრომლობის მცველი

გაერო პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ორიენტირებულია სამართლიანობასა და განვითარებაზე და სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად მუშაობს, რათა ჩვენი სამყარო უკეთესი გახდეს.

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UN Industrial Development Organization – UNIDO) 1966 წელს დაარსდა, 1986 წლიდან ის გაეროს სპეციალიზებულ დაწესებულებად გარდაიქმნა. ორგანიზაცია 170 ქვეყანას აერთიანებს (2019 წელი).

UNIDO-ს მიზნებია:

- გაეროს სისტემაში სამრეწველო განვითარების სფეროში მაკოორდინირებელი როლის შესრულება;
- გლობალურ, რეგიონულ, ეროვნულ და დარგობრივ დონეებზე განვითარებადი ქვეყნების სამრეწველო განვითარებაზე ზემოქმედება;
- ზემოქმედება განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციაზე, მათ შორის – ბუნებრივი რესურსების გადამუშავების და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში;
- გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნებისთვის რესტრუქტურისა და მრეწველობაში პრივატიზაციის პროცესში დახმარება;
- განვითარებადი ქვეყნების ტექნიკური დახმარება კონკრეტული პროექტების რეალიზაციის გზით.

გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია თავის საქმიანობას მთავრობებთან, ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან ერთად ახორციელებს და დიდ ყურადღებას აქცევს სანარმოების დონეზე სამრეწველო თანამშრომლობას.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency – IAEA) 1957 წელს შეიქმნა გაეროს სისტემაში შემავალი ავტონომიური სამთავრობათაშორისო ორგანიზაციის სახით. ის 176 სახელმწიფოს აერთიანებს.

IAEA-ს მიზნებია:

- ატომური ენერჯის განვითარებასა და მისი მშვიდობიანი მიზნით გამოყენებაზე ზემოქმედება;
- განიარაღების მსოფლიო პოლიტიკის გატარებაზე ზემოქმედება;
- სამშვიდობო მიზნებისთვის განკუთვნილი ბირთვული ნივთიერებებისა და დანადგარების საომარი მიზნით გამოყენების გარანტია;
- ბირთვულ იარაღზე კონტროლის სისტემის განხორციელება;
- ატომური ენერჯეტიკის სფეროში სამეცნიერო კვლევების ჩატარება და შედეგების მშვიდობიანი მიზნით გამოყენება;
- ატომური მეცნიერების და ტექნოლოგიების ყველა ასპექტზე ინფორმაციის ნარდგენა.

საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია

გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია (International Maritime Organization – IMO – 1958 წელს შეიქმნა. 1982 წლამდე მას საზღვაო კონსულტაციების სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია ერქვა. მასში 175 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული.

IMO-ს მიზნებია:

- მთავრობებს შორის გემების საერთაშორისო სავაჭრო მიმოსვლასთან დაკავშირებულ ტექნიკურ საკითხებზე თანამშრომლობა და ინფორმაციის გაცვლა;
- ზღვაზე უსაფრთხოების, საზღვაო ნავიგაციის სტანდარტებისა და ნორმების შემუშავება; ზღვის დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა; ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების განხილვა;
- გემების საერთაშორისო მიმოსვლასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული მოქმედებების და მთავრობების მიერ დადგენილი ზედმეტი დაბრკოლებების შემოღებაზე ზემოქმედება.



თუ გინდა, მეტი შეიტყო ორგანიზაციის შესახებ, ეწვიე ვებგვერდებს:
<https://www.unido.org/>
<https://www.iaea.org/>
<https://www.imo.org/>



<https://www.unido.org/>



<https://www.iaea.org/>



<https://www.imo.org/>

გაეროს სისტემაში ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები

გაეროს ფონდები, პროგრამები და სამუშაო ორგანოები	გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები	გაეროს ასოცირებული ორგანიზაციები
<ul style="list-style-type: none"> • კაპიტალის განვითარების ფონდი (UN Capital Development Fund – UNCDF); • გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების შესახებ (UN Conference on Trade Development – UNCTAD); • პროექტების მომსახურების ორგანო (UN Office for Project Services – UNOPS); • გაეროს განვითარების პროგრამა (UN Development Programme – UNDP); • გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UN Environment Programme – UNEP); • ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის პროგრამა (UN International Drug Control Programme – UNIDCP); • მსოფლიო სასურსათო პროგრამა (World Food Programme – WFP). 	<ul style="list-style-type: none"> • შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Labour Organization – ILO); • სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (Food and Agriculture Organization – FAO); • გაეროს ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე (UN Educational Scientific and Cultural Organization – UNESCO); • სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (International Civil Aviation Organization – ICAO); • მსოფლიო ბანკის ჯგუფი (World Bank Group – WBG), რომელშიც შედის: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Development – IBRD), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (International Development Association – IDA); • საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation – IFC). 	<ul style="list-style-type: none"> • ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (International Atomic Energy Agency – IAEA); • ნარკოტიკული საშუალებების კონტროლის საერთაშორისო საბჭო (International Narcotics Control Board – INCB); • საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (International Trade Center – ITC); • ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (World Trade Organization – WTO); • ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაცია (World Tourism Organization – WTO).

გაეროს დაარსებიდან დღემდე გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე სულ ცხრა პირი იყო არჩეული:

№	სურათი	სახელი და გვარი	ქვეყანა	გაეროს რეგიონული ჯგუფი	საქმიანობის წლები
მოვალეობის შემსრულებელი		გლედვინ ჯები (1900-1996)	გაერთიანებული სამეფო	ევროპა	24.10.1945 – 01.02.1946
1		ტრიუგვე ლი (1896-1968)	ნორვეგია	ევროპა	1945-1953
2		დაგ ჰამარშელდი (1905-1961)	შვედეთი	ევროპა	1953-1961
3		უ ტანი (1909-1974)	მიანმარი	აზია	1961-1971
4		კურტ ვალდჰაიმი (1918-2007)	ავსტრია	ევროპა	1972-1981
5		ხავიერ პერეს დე კუელიარი (1920-2020)	პერუ	სამხრეთი ამერიკა	1982-1991
6		ბუტროს ბუტროს გალი (1922-2016)	ეგვიპტე	აფრიკა	1992-1996
7		კოფი ანანი (1938-2018)	განა	აფრიკა	1997-2007
8		პან გი მუნი (1944)	სამხრეთი კორეა	აზია	2007-2016
9		ანტონიუ გუტერეში (1949)	პორტუგალია	ევროპა	2017-დან დღემდე

14. იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობა

იუნესკოს კრეატიული ქალაქების ქსელი

იუნესკოს კრეატიული ქალაქების ქსელი (UCCN – Creative Cities Network) 2004 წელს შეიქმნა. ქსელის მიზანია მსოფლიოს ქალაქებს შორის თანამშრომლობა. ასევე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა, ურბანული განვითარების გეგმაში კულტურის ინტეგრაცია, ნივთი ქალაქების ინიციატივების წახალისება კულტურული აქტივობების განსახორციელებლად და კულტურულ ცხოვრებაში სულ უფრო მეტი მონაცვლადი ჯგუფის ჩასართავად.

ამჟამად კრეატიული ქალაქების ქსელი აერთიანებს მსოფლიოს 90 ქვეყნის 300 ქალაქს, რომლებიც მედიახელოვნების, მუსიკის, კინემატოგრაფიის, გასტრონომიის, დიზაინის, ფოლკლორისა და ხელნაკეთი ნივთების მიმართულებით სხვადასხვა პროექტებს ახორციელებენ.

ქსელის მიზანია:

- გააძლიეროს კულტურული აქტივობების, პროდუქციისა და მომსახურების შექმნა, წარმოება და გავრცელება;
- შემოქმედებითი და ინოვაციური ცენტრების განვითარება და კულტურის სექტორში მოღვაწეთათვის და პროფესიონალებისთვის შესაძლებლობების გაფართოება;
- კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით მონაცვლადი ან დაუცველი ჯგუფებისა და ინდივიდებისთვის;
- კულტურისა და კრეატიულობის სრულად ინტეგრირება მდგრადი განვითარების გეგმებში.

ქსელში განწევრიანებით, ქალაქები იღებენ ვალდებულებას, ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი საუკეთესო პრაქტიკა და ითანამშრომლონ საჯარო და კერძო სექტორების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.



<https://en.unesco.org/creative-cities/>

თუ გინდა მეტი შეიტყო კრეატიული ქალაქების შესახებ, ენფი ვებგვერდს:

<https://en.unesco.org/creative-cities/>

გეოპარკების გლობალური ქსელი

გეოპარკების გლობალური ქსელი (GGN) არაკომერციული საერთაშორისო ასოციაციაა, რომელიც ოფიციალურად 2014 წელს შეიქმნა, საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად. გეოპარკების გლობალური ქსელი იუნესკოს ოფიციალური პარტნიორია იუნესკოს გლობალური გეოპარკების ფუნქციონირებისთვის.

გეოპარკების გლობალური ქსელის წევრები ვალდებული არიან ითანამშრომლონ და ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ, საუკეთესო პრაქტიკა გააცნონ და ერთობლივი პროექტები განახორციელონ იუნესკოს გლობალური გეოპარკების მაღალი ხარისხის სტანდარტების დასამკვიდრებლად.

გეოპარკების გლობალური ქსელი ორ წელიწადში ერთხელ იკრიბება, თუმცა შეკრებებს შორის იგი რეგიონული ქსელების საშუალებით ფუნქციონირებს. გეოპარკების გლობალური ქსელის რეგიონული ქსელებია: აზია-წყნარი ოკეანის გეოპარკების ქსელი (APGN), ევროპის გეოპარკების ქსელი (EGN), ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის გეოპარკების ქსელი, იუნესკოს აფრიკული გლობალური გეოპარკები.



თუ გინდა მეტი შეიტყო გლობალური გეოპარკების ქსელის შესახებ, ენვიე ვებგვერდს: <http://www.globalgeopark.org/>

ევროპის გეოპარკების ქსელი

ევროპის გეოპარკების ქსელი (The European Geopark Network – EGN) გეოპარკების გლობალური ქსელის და იუნესკოს საერთაშორისო გეომეცნიერებებისა და გეოპარკების პროგრამის (UNESCO-IGGP) რეგიონული ორგანიზაციაა. ევროპის გეოპარკების ქსელის (The European Geopark Network) დამფუძნებელი წევრები არიან: ოტ-პროვანსის გეოლოგიური ნაკრძალი (საფრანგეთი), ლესბოსის გაქვავებული ტყის ბუნებრივი მუზეუმი (კუნძული ლესბოსი, საბერძნეთი), გეროლმტინის ვულკანური რელიეფი (გერმანია) და მანესტრაზგოს კულტურული პარკი (ესპანეთი).

ორგანიზაციის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს გეოპარკებს შორის თანამშრომლობა გეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვისა და ევროპაში ამ ტერიტორიების მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის. 2020 წლის იანვარში ევროპის გეოპარკების ქსელი 75 ინსტიტუციურ წევრს (იუნესკოს გლობალური გეოპარკი) აერთიანებდა 26 ევროპული ქვეყნიდან.

ქსელის მთავარი მიზანი გეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობაა. გეოლოგიური მემკვიდრეობისა და განსაკუთრებული გეოლოგიური ინტერესის მატარებელი ტერიტორიების დაცვის რეკომენდაციებზე დაყრდნობით ევროპულმა ქვეყნებმა გეოლოგიური მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების იდენტიფიცირება უნდა მოახდინონ, დაადგინონ, თუ რომელი მიეკუთვნება მსოფლიო მემკვიდრეობას და საჭიროებს დაცვას. 2005 წლის ოქტომბერში ევროპული გეოპარკების ქსელმა ხელი მოაწერა იუნესკოსთან კოლაბორაციის ოფიციალურ დეკლარაციას, რომლის მიხედვითაც ის იუნესკოს გლობალური გეოპარკების ერთ-ერთი განშტოებაა.

თუ გინდა მეტი შეიტყო გეოპარკების გლობალური ქსელის შესახებ, ენვიე ვებგვერდს: <https://www.europeangeoparks.org/>



<https://www.europeangeoparks.org/>

იუნესკოს კალენდარი

24 იანვარი განათლების საერთაშორისო დღეა, რომელიც მთელ მსოფლიოში აღინიშნება და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს განათლებისა და მისი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას.

11 თებერვალი – ქალთა და გოგონების საერთაშორისო დღე მეცნიერებაში

13 თებერვალი – რადიოს მსოფლიო დღე

21 თებერვალი – მშობლიური ენის საერთაშორისო დღე

4 მარტი – იუნესკოს მსოფლიო ინჟინერიის დღე მდგრადი განვითარებისთვის;

8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე

14 მარტი – მათემატიკის საერთაშორისო დღე

20 მარტი – ფრანკოფონიის საერთაშორისო დღე

21 მარტი – ნოვრუზის საერთაშორისო დღე და რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

6 აპრილი – სპორტის საერთაშორისო დღე განვითარებისა და მშვიდობისთვის.

15 აპრილი – მსოფლიო ხელოვნების დღე

23 აპრილი – ნიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღე

3 მაისი – პრესის თავისუფლების მსოფლიო დღე

5 მაისი – აფრიკის მსოფლიო მემკვიდრეობის დღე

16 მაისი – სინათლის საერთაშორისო დღე

21 მაისი – კულტურული მრავალფეროვნების მსოფლიო დღე დიალოგისა და განვითარებისთვის

9 აგვისტო – მსოფლიოს მკვიდრი ხალხის საერთაშორისო დღე

12 აგვისტო – ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

8 სექტემბერი – ნიგნიერების საერთაშორისო დღე

15 სექტემბერი – დემოკრატიის საერთაშორისო დღე

21 სექტემბერი – მშვიდობის საერთაშორისო დღე

5 ოქტომბერი – მასწავლებლის მსოფლიო დღე

13 ოქტომბერი – ბუნებრივი კატასტროფების შემცირების საერთაშორისო დღე

17 ოქტომბერი – სიღარიბის აღმოფხვრის საერთაშორისო დღე

24 ოქტომბერი – გაეროს დღე

27 ოქტომბერი – აუდიოვიზუალური მემკვიდრეობის მსოფლიო დღე

4 ნოემბერი – სკოლაში ძალადობისა და ბულინგის, მათ შორის, კიბერბულინგის, წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

5 ნოემბერი – ცუნამის შესახებ ცნობიერების ამაღლების მსოფლიო დღე

6 ნოემბერი – ომისა და საომარი კონფლიქტების დროს გარემოს ექსპლუატაციის აცილების საერთაშორისო დღე

10 ნოემბერი – მეცნიერების მსოფლიო დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის

14 ნოემბერი – კულტურული ფასეულობებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

16 ნოემბერი – ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებების დაცვის დღე

15. დაცული ტერიტორიები

ეკოკალენდარი

კალენდარში არის გეოგრაფიასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული დღეები. ზოგიერთი ასეთი დღე რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის (გაეროს, იუნესკოს და სხვ.) მიერ ამა თუ იმ მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული, საზოგადოებრივი და სხვა მოვლენის აღსანიშნავად არის დაწესებული და მას თითქმის მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

11 იანვარი ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეა. ის პირველად 1997 წელს, ველური ბუნების დაცვის ცენტრისა და ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ინიციატივით აღინიშნა.

24 იანვარი განათლების საერთაშორისო დღეა, რომელიც მთელ მსოფლიოში აღინიშნება და კიდევ ერთხელ გვახსენებს განათლებისა და მისი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას. მათ შორის გარემოსდაცვითი განათლებისაც.

2 თებერვალი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის მსოფლიო დღეა! უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ტერიტორიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჯანსაღი გარემოსა და ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის შენარჩუნებაში. ჭარბტენიან ტერიტორიებს ხშირად ეძახიან „დედამინის თირკმელებს“, რადგან ისინი ფილტრავენ წყალს, ამცირებენ ბუნებრივი კატასტროფების ზემოქმედებას და მცენარეებისა და ცხოველებისთვის მნიშვნელოვან ჰაბიტატს წარმოადგენენ.

19 თებერვალი ვეშაპების და ზღვის ცხოველების დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს დღე აღინიშნება 1986 წლიდან, როცა 200-წლიანი უმოწყალო განადგურების შემდეგ საერთაშორისო კომისიამ ვეშაპებზე ნადირობა აკრძალა.

21 მარტი ტყის (ტყის დაცვის) საერთაშორისო დღედ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა და 1971 წლიდან აღინიშნება. ამ დღის დაარსების ინიციატივით გაეროს 23-ე გენერალურ ასამბლეაზე ევროპის სოფლის მეურნეობის კონფედერაცია გამოვიდა. ამ დღის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის თაობაზე.

22 მარტი წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეა. ასეთი დღესასწაულის დანიშვნის იდეა პირველად 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებულ გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე (UNCED) გამოითქვა. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1993 წელს მიიღო ოფიციალური გადაწყვეტილება წყლის მსოფლიო დღის აღნიშვნის შესახებ, რომელიც პლანეტის ყველა მცხოვრებს შეახსენებს წყლის მნიშვნელობას დედამიწაზე სიცოცხლის არსებობისათვის.

23 მარტს, ადგილობრივი დროით – 20:30 საათზე, დედამიწის საათი აღინიშნება. პირველად ის 2007 წელს, სიდნეიში აღინიშნა ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ინიციატივით. 2008 წელს კამპანია ავსტრალიის ფარგლებს გასცდა და 35 ქვეყანა მოიცვა. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა თანდათანობით გაიზარდა. საქართველო დედამიწის საათს 2009 წლიდან აღნიშნავს. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას და დაფიქრებას კლიმატის ცვლილებაზე, წელიწადში თუნდაც ერთი საათით.

1 აპრილი ფრინველთა საერთაშორისო დღეა და ყოველწლიურად პროგრამა „ადამიანი და ბიოსფეროს“ ფარგლებში აღინიშნება, რადგან სწორედ 1-ელ აპრილს მოენერა ხელი საერთაშორისო კონვენციას ფრინველთა დაცვის შესახებ. მსოფლიოში სულ რამდენიმე ე.წ. ფრინველის თარიღს აღნიშნავენ: ფრინველთა საერთაშორისო დღეს – 1-ელ აპრილს, ფრინველთა დღეს – 4 მაისს, გადამფრენი ფრინველების საერთაშორისო დღეს – მაისის მეორე შაბათს. ამ დღეებში ყოველწლიურად იმართება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, ღონისძიე-

ბები, საგანმანათლებლო პროგრამები და ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვების მიზნით, რათა ხაზი გაესვას ფრინველებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის მნიშვნელობას.

18-28 აპრილი ყოველწლიური გლობალური მოქმედების დღეებია. ამ პერიოდში, 18-22 აპრილს ტარდება საერთაშორისო აქცია – „პარკების მარშის“ დღეები დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მხარდასაჭერად. ის პირველად ამერიკაში 22 აპრილს – დედამიწის დღის ტრადიციული აღნიშვნისას გაიმართა. „პარკების მარშის“ მიზანია ხელისუფლების, მედიის, ბიზნესისა და მთელი საზოგადოების ყურადღების მიმართვა დაცული ტერიტორიების პრობლემებისკენ, მათთვის რეალური პრაქტიკული დახმარების განევა, ცნობიერების ამაღლება.

22 აპრილი ასევე დედამიწის დღეა და ის პირველად 1970 წელს აღინიშნა, როცა ცნობილი ამერიკელი გარემოსდაცველი სენატორის, გეილორდ ნელსონის მოწოდებით 20 მილიონი ამერიკელი გამოვიდა დედამიწის დასაცავად. ამ დღეს სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება გამოიწვია. დედამიწის დღე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელშიც ყოველ წელს მსოფლიოს 175 ქვეყნის 17 000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს. საქართველოში დედამიწის დღე პირველად 1990 წელს, მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით აღინიშნა და მას შემდეგ ამ ღონისძიებას ყოველწლიურად უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას ახორციელებენ.

12 მაისი გარემოსდაცვითი განათლების დღეა. გარემოსდაცვითი განათლება როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში დღეს პრიორიტეტად ითვლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. რიო-დე-ჟანეიროში 1992 წელს გამართული გაეროს კონფერენცია, სადაც განიხილეს გარემოს პრობლემები და განათლების განვითარება, თავის დოკუმენტებში და განწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნავს გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობას კაცობრიობის გადარჩენისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.

15 მაისი კლიმატის საერთაშორისო დღეა. მისი მიზანია დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის კლიმატის დაცვის აუცილებლობის დანახვება. კლიმატი, ამინდი, სტიქიური უბედურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ყველა ქვეყნის სურსათზე, სიცოცხლეზე, ქონების უსაფრთხოებაზე, წყლის რესურსებზე, დასვენებასა და მდგრად განვითარებაზე.

22 მაისი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეა. ის 2000 წელს, გაეროს გაერთიანებული ასამბლეის გადამწყვეტილებით დაარსდა. ეს თარიღი იმ მიზეზით შეირჩა, რომ 1992 წელს, სწორედ ამ დღეს მიიღეს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენცია. ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე ყოველ წელს ერთ კონკრეტულ გარემოსდაცვით თემას ეძღვნება. ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას ფლორისა და ფაუნის ენდემური სახეობებისა და ბიომრავალფეროვნებაში მათი როლის შესახებ, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის უკეთ გაგება-გააზრებას.

5 ივნისი გარემოს დაცვის დღედ 1972 წლის 15 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა. ამ დღეს სტოკჰოლმში გაიხსნა გაეროს კონფერენცია, რომელიც ადამიანის საარსებო გარემოს პრობლემების განხილვას მიეძღვნა. გარემოს დაცვის დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ადამიანებში ბუნებისადმი პასუხისმგებლობის ამაღლებას, გარემოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და გარემოს შენარჩუნებისა და გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საზოგადოების აქტიურ ჩართვას.

8 ივნისი ოკეანის მსოფლიო დღეა. ეს დღე გაერომ 1992 წელს დააწესა და ამით ხაზი გაუსვა პლანეტისთვის ოკეანეების სასიცოცხლო მნიშვნელობას და მათ მდგომარეობაზე ზრუნვის აუცილებლობას.

17 ივნისი გაუდაბნობასა და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღეა.

26 ივლისი მანგროს ეკოსისტემის დაცვის საერთაშორისო დღეა.

ზღვების მსოფლიო დღე 1978 წლიდან აღინიშნება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) ასამბლეის ინიციატივით და გაეროს მიერ დაწესებული საერთაშორისო დღეების სისტემაში შედის. ზღვების მსოფლიო დღე ეძღვნება ზღვების ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემებს, ბიორესურსების შენარჩუნებას. 1980 წლამდე მას 17 მარტს აღნიშნავდნენ, ამჟამად კი სექტემბრის ბოლო კვირის ერთ-ერთ დღეს აღინიშნება და თითოეული ქვეყანა თავად ადგენს ამ თარიღს.

ოქტომბრის პირველი ორშაბათი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1985 წელს გამოაცხადა და ჰაბიტატის მსოფლიო დღედ. ამ დღის მიზანია საზოგადოებას შეახსენოს, რომ ჩვენ ყველა ვალდებული ვართ, წვლილი შევიტანოთ ჩვენი გარემოსა და ჰაბიტატების შენარჩუნების საქმეში.

4 ოქტომბერს ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება. ცხოველთა დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნის შესახებ გადაწყვეტილება 1931 წელს ფლორენციაში, ბუნების დაცვის მომხრეების საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს. სხვადასხვა ქვეყნის ცხოველთა დაცვის საზოგადოებებმა განაცხადეს, რომ მზად არიან, ყოველწლიურად აღნიშნონ ეს დღე და მოაწყონ სხვადასხვა ღონისძიება, რომლებიც მიმართული იქნება ყოველი ცოცხალი არსების მიმართ ადამიანის პასუხისმგებლობის გაზრდისკენ. 1986 წელს ევროპის საბჭომ ექსპერიმენტებში მონაწილე ცხოველების დაცვის კონვენცია მიიღო, ხოლო 1987 წელს – კონვენცია შინაურ ცხოველთა დაცვის შესახებ.

6 ოქტომბერი საარსებო გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეა, რომელიც 1979 წელს „ველური ფაუნისა და ფლორის და საარსებო ბუნებრივი გარემოს დაცვის შესახებ“ ბერნის კონვენციის საფუძველზე დაწესდა. ამ დღეს გეომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეც აღინიშნება.

3 ნოემბერი ბიოსფერული რეზერვატების საერთაშორისო დღეა.

5 დეკემბერს ნიადაგის მსოფლიო დღე აღინიშნება. მისი მიზანი მოსახლეობისთვის ნიადაგის სიჯანსაღისა და ამ რესურსის მდგრადი მართვის მნიშვნელობის შეხსენებაა.

7. შეფასება

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ეფექტიანი და წარმატებული სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას, შეფასების მრავალმხრივ მიდგომას, შეფასების რუბრიკების გამოყენებას მუშაობის პროცესში. მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საქმიანობაა. მკვლევართა აზრით (მუისი და რეინოლდსი, 2005), შეფასებაზე მასწავლებლის დროის ერთი მესამედი იხარჯება.

შეფასება გვაძლევს საშუალებას გავიგოთ, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა სასწავლო მასალა, რომელია მათი ძლიერი და სუსტი მხარე. შეფასების საშუალებით სწორად ვგეგმავთ სასწავლო პროცესს და, მოსწავლეთა პროგრესისა თუ რეგრესის გათვალისწინებით, ვადგენთ სასწავლო აქტივობებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება – განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება გამოუმუშავებს მას დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლე გაერკვეს სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისთვის

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზე დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- შემოქმედებითი დავალება ისეთი ტიპის დავალებაა, რომლის მიზანი ერთდროულად რამდენიმე უნარის გავარჯიშება და სხვადასხვა აქტივობების შეერთებით უფრო მასშტაბური შედეგების მიღწევაა. დავალების ეს ტიპი მოიცავს რამდენიმე დავალებას.

ბას ერთად: მოძიებას, დალაგებას, მსჯელობას, პრეზენტაციას. ის შეიძლება იყოს ინდივიდუალურიც და ჯგუფურიც. შემოქმედებითი დავალება მოსწავლეს უზრდის თვითშეფასებას, თვალსაჩინოდ ანახვებს თავისივე განვითარების შედეგებს, აჩვენებს, როგორ გამოიყენოს პრაქტიკაში სკოლაში ნასწავლი მასალა და გარდა ამისა, თამაშ-თამაშით უფითარებს პრობლემებისა დამოუკიდებლად და შემოქმედებითად გადალახვის უნარებს. შემოქმედებითი დავალების შესრულებისას მოსწავლემ საკუთარი თავი უნდა წარმოაჩინოს მისთვის სასურველი გზით. ამ მოქნილობას ქმნის ზუსტად ის, რომ ერთი და იგივე თვალსაჩინო შედეგი შესაძლოა გამოიკვეთოს სხვადასხვა ქვესაფეხურზე აქცენტის გაკეთებით, იმის მიხედვით, თუ რა არის მოსწავლის კონკრეტული ინტერესი. კონკრეტულ პროექტში ზოგი უკეთეს დიზაინს შექმნის, ზოგი უკეთ გამოითვლის, რა არის საჭირო, ზოგი უკეთ წარადგენს კლასის წინაშე და ა.შ.

- პროექტი (ის შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკვლევ საკითხს, როგორცაა „როგორ ვებრძოლოთ ნიადაგის ეროზიასა და დეგრადაციას?“ კვლევის შედეგები სხვადასხვა სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (პრეზენტაცია, წერილობითი ანგარიში და/ან ესეი);
- გეოგრაფიული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების შექმნა, მათ შორის, ელექტრონული სახით;
- ესეი (მოსწავლეები დაწერენ ესეის პრობლემურ და/ან აქტუალურ საკითხზე, მაგ., „როგორი იქნება ჩვენი პლანეტის დემოგრაფიული პორტრეტი 100 წლის შემდეგ?“);
- გეოგრაფიული სამაგიდო და სავლევ კვლევა (კვლევითი სამუშაო ტარდება საკლასო ოთახის გარეთ, მაგალითად, ამ დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მიდიან ბუნებაში ან რომელიმე საწარმოში და იკვლევენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საწარმოს ტიპი და გამოშვებული პროდუქცია, მწვანე სოფლის მეურნეობა და სხვა).

გეოგრაფიაში უნდა შეფასდეს მოსწავლის ძირითადი გეოგრაფიული ცოდნა და მისი გააზრებული გამოყენება, ძირითადი გეოგრაფიული უნარების შექმნა და ღირებულებებისა და მიდგომების განვითარება. შეფასების სხვადასხვა ხერხი გამოიყენება რაც შეიძლება ბუნებრივად, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა (იხ. დამატებითი ლიტერატურა, „გეოგრაფიული უნარები“).

მოსწავლეების შესახებ ამ ღირებულებების ინფორმაციის უმეტესი ნაწილი გროვდება ყოველდღიური დაკვირვების, განსაკუთრებით, ეფექტიანი გამოკითხვისა და დისკუსიის პროცესში. ასეთი დაკვირვება აუცილებელია დასკვნების გამოსატანად იმის შესახებ, თუ რა იციან მოსწავლეებმა, რა არის მათი ძლიერი მხარე და რას სჭირდება გაუმჯობესება, რათა დასახული მიზნების მისაღწევად შეირჩეს სათანადო, შესაბამისი სწავლების სტრატეგიები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მოსწავლის სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, აგრეთვე, მოსწავლეების პასუხებზე დაყრდნობით, საკლასო დისკუსიებში მონაწილეობით, მოსწავლის ნამუშევრის განმსაზღვრელი შეფასებითა და ეფექტიანი, ხარისხიანი უკუკავშირით, მოსწავლეების თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით.

ღირებულებების ინფორმაცია მოსწავლის მიღწევის შესახებ შეიძლება შევავროვოთ სხვადასხვა საკლასო აქტივობაში ჩართულობის დროს მასზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგად. ეს აქტივობები მოიცავს: ინფორმაციის მოპოვებას პირველადი და მეორადი წყაროებიდან, ველზე დაკვირვებას, მარტივი ცდების შესაძლო შედეგების პროგნოზირებას, კანონზომიერებების დადგენას, სამუშაო ფურცლების შევსებას, ზეპირ პრეზენტაციას, წერით სამუშაოს, კონტურულ და თემატურ რუკებზე მუშაობას, საკლასო ტესტებს, რუკების შედგენასა და ანალიზს, გრაფიკების გამოყენებასა და ინტერპრეტაციას, ელე-

ქტრონული მედიასაშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვებას, გეოგრაფიული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებასა და დაკვირვების შედეგების პროექტის სახით წარმოდგენას.

სხვადასხვა სირთულის დავალებების გამოყენება განსხვავებულ სიტუაციებში მასწავლებელს საშუალებას აძლევს, უფრო ზუსტად შეაფასოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის გეოგრაფიული ცოდნა/გააზრების უნარი.

განმავითარებელი შეფასების პროცედურები მასწავლებლებს აძლევს ღირებულ ინფორმაციას მოსწავლის მიღწევის შესახებ და გავლენას ახდენს მის პროგრესზე. შემაჯამებელი შეფასებები, როგორებიცაა შუალედური, სემესტრული წერები, არ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ნიშნის დასაწერად, არამედ უნდა ემსახუროდეს მოსწავლის მიღწევის შეფასებასაც.

ისინი უნდა შეიცავდეს განმავითარებელი შეფასების ელემენტებსაც, რათა წავახალისოთ მოსწავლეები, მოახდინონ რეფლექსია საკუთარ ნამუშევარზე, რაც, ამავე დროს, ეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს სწავლების წარმატება და დასახოს მიზნები მის გასაუმჯობესებლად.

მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტაცია შეიძლება მოთავსდეს მოსწავლის პორტფოლიოში. ეს შეიძლება იყოს მარტივი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსწავლის ძალისხმევას და შეიძლება წარმოადგენდეს რუკაზე ნამუშევარს, შექმნილი მოდელის ფოტოს, ნანახი საკვლევი ადგილების შესახებ ჩანაწერებსა და სურათებს, ექსპერიმენტების ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, მოსწავლის ჩანაწერებს სამუშაო ფურცლის სახით ან კვლევის მასალებს მეორადი წყაროებიდან, თუნდაც, ინტერნეტიდან.

განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა

განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას აკონტროლებს და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. განმავითარებელი შეფასება განაპირობებს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მათ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვით-შეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში.

განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს შორის ძირეული განსხვავება შეფასების პროცედურის ჩატარების დროა. მაგალითად, შემაჯამებელი ტესტირება ტარდება სასწავლო კურსის ბოლოს, ხოლო განმავითარებელი – კურსის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისეა შექმნილი, რომ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სწავლის პროცესსა და სასწავლო მასალას, ამიტომ მათ უფრო ხშირად და დინამიკურად იყენებენ. განმავითარებელი შეფასების პროცედურა ისეთ დროს უნდა განხორციელდეს, როდესაც მასწავლებელს, მის საფუძველზე, სწავლების პროცესში შესაბამისი ცვლილების შეტანა შეეძლება; მოსწავლეს კი უნდა შეეძლოს, სწავლის პროცესში შესაბამისი ცვლილება შეიტანოს ან შეფასებიდან მიღებულმა უკუკავშირმა მას მოტივაცია გაუძლიეროს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს უნარების დახვეწაში, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების მეთოდით. ამ ტიპის შენიშვნების დროს მოსწავლე, მასწავლებლის კომენტარების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას ეხმარება ისწავლოს უკეთ, გააცნო-

ბიეროს საკუთარი სწავლის მიმდინარეობა. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების საშუალებით გეგმავს სასწავლო პროცესსა და სწავლების ტემპს ისე, რომ მისი ქმედებები მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, ზეპირი/წერილობითი რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, კითხვარი, უნარის განვითარების დონის აღწერა და სხვა. ამდენად, განმავითარებელი შეფასება კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის მიღწევების გათვალისწინებით – როგორი იყო მისი დონე მანამდე და როგორია შეფასების მომენტში.

განმავითარებელი შეფასების ფორმაა ზეპირი ან წერილობითი კომენტარები, რომლებიც როგორც სემესტრის განმავლობაში, ისე მის ბოლოს კეთდება. კომენტარები აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეიცავს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ. მკვლევართა აზრით, კომენტარები სწავლების ძალიან ეფექტიანი მეთოდია. მკვლევარმა ჯონ ჰეთიმ (1992) 8000-მდე კვლევა განიხილა და დაასკვნა: ყველაზე ძლიერი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას აუმჯობესებს, კომენტარებია. შესაბამისად, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მარტივი რეცეპტი იქნებოდა – „რაც შეიძლება ხშირად დანერეთ კომენტარები“.

კვლევების შედეგად რეკომენდებულია კომენტარების გაკეთების შემდეგი მეთოდები:

1. მასწავლებლის კომენტარები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. კომენტარი სასარგებლოა მაშინ, თუ ის ზედმინვენით უხსნის მოსწავლეს, რა გამოუვიდა კარგად და რა – არა. მხოლოდ იმის მინიშნება მოსწავლისთვის, რომ მისი პასუხი არასწორია, უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. იმის მითითება კი, რომ იქამდე იმუშაოს დავალებაზე, სანამ განსაზღვრულ შედეგს არ მიაღწევს, მისი აკადემიური ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია.
2. მასწავლებლის კომენტარები დროული უნდა იყოს. მაგალითად, დავალების, ტესტის დასრულებისთანავე კომენტარი ყველაზე ეფექტიანად ითვლება, ვიდრე ტესტის რომელიმე ნაწილის დასრულების შემდეგ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გვიანი კომენტარები ნაკლებ გავლენას ახდენს მოსწავლესა და მის აკადემიურ მოსწრებაზე.
3. მასწავლებლის კომენტარები კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა უკავშირდებოდეს. უნდა განისაზღვროს კრიტერიუმი, რომელიც კონკრეტული დონის ცოდნისა და უნარების განვითარებისკენაა მიმართული. კომენტარები უნდა უკავშირდებოდეს სწორედ ამ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ასეთი კომენტარი გაცილებით საყურადღებოა, რადგან ის ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის განვითარებას.
4. ეფექტიანი კომენტარების გაკეთება მოსწავლეებსაც შეუძლიათ. კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეებსაც შეუძლიათ საკუთარი პროგრესის ეფექტიანი მონიტორინგი (თრამელი, შლოსი და ალფერი, 1994). ისინი სწავლის პროცესში ინიშნავენ საკუთარ წარმატებებს, მიმართავენ თვითშეფასებას. ეს ეხმარება მათ, დაეუფლონ კონკრეტულ უნარებს, ასევე მიაღწიონ მაღალ აკადემიურ შედეგებს.

მასწავლებლის მიერ გაკეთებული დროული, შედეგების გაუმჯობესებასა და კონკრეტული უნარების დაუფლებისკენ მიმართული კომენტარები სასწავლო პროცესს გახდის უფრო საინტერესოსა და შედეგზე ორიენტირებულს. კომენტარების არასათანადო სიხშირით გამოყენება კი სწავლების ეფექტიანობასა და მოქნილობაზე უარყოფითად აისახება.

8 დამატებითი ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტრესურსები

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბლიაძე – „მდგრადი განვითარების მიზნები“ – <https://goo.su/DpjUWaX>
2. მ. ბლიაძე და სხვ.– მეცნიერება და ტექნოლოგიები – „ჩვენი სამყარო“ – <https://goo.su/tpG5Hx>
3. მ. ბლიაძე და სხვ. – მეცნიერება და ტექნოლოგიები – „მრეწველობა და ყოფა-ცხოვრება“ – <https://goo.su/VYac8z>
4. მ. ბლიაძე და სხვ. – მეცნიერება და ტექნოლოგიები – „ტექნოლოგიები და მედიცინა“ – <https://goo.su/dMP-d111>
5. მ. ბლიაძე და სხვ. – მეცნიერება და ტექნოლოგიები – „საცხოვრებელი გარემო და ეკოლოგია“ – <https://goo.su/6b3n2>
6. გაეროს მოდელირება – მონანილის წიგნიდან – „საქართველოს გაეროს ასოციაცია“, თბ., 2006.
7. ვებსტერი ქ. – „გადახედე, თქვი უარი, შეამცირე“, British Counuil თბ., 2007.
8. მ. ხუნძუკიშვილი, ბივერი ს. – განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ. 2018.
9. სილვერი ჯეიმს ფ. – გეოგრაფია, მეთოდური მასალები მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ. 2016.
10. მ. ბლიაძე – კვლევაზე დაფუძნებული სწავლება – <https://goo.su/MMIO>
11. მ. ბლიაძე, ნ. ზაალიშვილი, ზ. ბერია. ნ. არაბული – მეცნიერება და ტექნოლოგიები;
თემა N1 – ჩვენი სამყარო: <https://goo.su/84qha>
თემა N2 – მრეწველობა და ყოფა-ცხოვრება: <https://goo.su/ai9YXZ>
თემა N3 – ტექნოლოგიები და მედიცინა: <https://goo.su/d6kj>
თემა N4 – საცხოვრებელი გარემო და ეკოლოგია: <https://goo.su/CnijW O>
12. მ. ბლიაძე – მდგრადი განვითარების მიზნები – <https://goo.su/DpjUWaX>
13. მ. ბლიაძე, მ. ზიზიბაძე – კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, ნარჩენები და გარემოს დაბინძურება, წყალი და წყლის რესურსები, ენერჯია და ენერჯეტიკული რესურსები – <https://goo.su/18f cc>
14. მ. სეხნიაშვილი – „რამდენი ქვეყანაა დღეს მსოფლიოში“ – <http://mastsavlebeli.ge/?p=27667>
15. მ. სეხნიაშვილი – განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში – <https://goo.su/wCTQ>
16. მ. სეხნიაშვილი – სინგაპური – „ლომის ქალაქი“ – <http://mastsavlebeli.ge/?p=23206>
17. მ. სეხნიაშვილი – გლობალური გარიგება და ერთი დედამინა – <http://mastsavlebeli.ge/?p=31979>
18. მ. სეხნიაშვილი – დემოლიტარიზებული ზონები და წყლის რესურსები – <http://mastsavlebeli.ge/?p=1298>
19. ლ. ალფაიძე, შანხაი – დასავლეთის სარკმელი ჩინეთში – ჩანაწერები საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაკვეთილებისთვის – <http://mastsavlebeli.ge/?p=31620>
20. მ. რატიანი – წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები – <http://mastsavlebeli.ge/?p=1197>

საინტერესო ვებგვერდები რუკების შესახებ:

<https://mapmakerclassic.nationalgeographic.org/>
<https://www.google.com/earth/versions/>
<http://unintentionalmaps.blogspot.com/>
<http://www.maps-for-free.com/>
<http://www.loc.gov/rr/geogmap/guide/gmlltoc.html>
<http://www.journalofmaps.com/>
<http://old.encyclopedia.com.pt/articles.php?article-id=1498>

გეოგრაფიული თამაშები:

<http://www.hhmi.org/biointeractive/earthviewer-online-and-downloadable-version>
<http://kids.nationalgeographic.com/world/>
<https://itunes.apple.com/us/app/what-is-there-learn-geography/id660164295?mt=8>
<http://world-geography-games.com/>
<https://www.commonsemmedia.org/app-reviews/ansel-and-clairs-adventures-in-africa>
<https://www.commonsemmedia.org/app-reviews/stack-the-countries>
<https://geoguessr.com/>

საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ორგანიზაციები

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (ინგლ. International Union for Conservation of Nature; IUCN) – <https://www.iucn.org/>
ჩარლზ დარვინის ფონდი (ინგ. Charles Darwin Foundation) – <https://www.darwinfoundation.org/en/>
გლობალური ბუდე (ინგ. Global Nest) – <https://www.gnest.org/>
ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოება (ინგ. World Society for the Protection of Animals – WSPA) – <https://www.worldanimalprotection.org/>
ეკოლოგიური მარკირების საერთაშორისო ქსელი (ინგ. Global Ekolabelling Network – GEN) – <https://globalekolabelling.net/>
გლობალური ეკოლოგიური ფონდი (ინგ. Global Environment Facility, GEF) – <https://www.thegef.org/>
საერთაშორისო მწვანე ჯვარი – <https://www.gcint.org/>
მსოფლიო დაკვირვების ინსტიტუტი – <http://www.worldwatch.org/>
გარემოს ევროპული სააგენტო (ინგ. European Environment Agency – EEA) – <https://www.eea.europa.eu/>
კლუბი „სიერა“ (ინგ. Sierra Club) – www.sierraclub.org

კალკულატორები:

ეკოლოგიური ნაკვალევის კალკულატორი – <https://footprintcalculator.henkel.com/en>
მსოფლიოს მოსახლეობის კალკულატორი – <https://countrymeters.info/en>

სასარგებლო ბმულები:

გაეროს განვითარების პროგრამა – <http://www.undp.org/>
გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში – <http://www.ge.undp.org/content/georgia/undp/home.html>

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, იუნესკო – <https://en.unesco.org/>
გაეროს ქალთა ორგანიზაცია – <https://georgia.unwomen.org/ა>
გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF – <https://www.unicef.org/>
გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, UNEP – <https://www.unenvironment.org/>
გაეროს მოსახლეობის ფონდი – www.unfpa.org
მსოფლიო ბანკი – <http://www.worldbank.org/>
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – www.who.int
საერთაშორისო სავალუტო ფონდი – <https://www.imf.org/>
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია – <https://www.ifad.org/>
მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაცია – <https://public.wmo.int/>
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – <https://www.wto.org/>
მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია – <https://www.unwto.org/>
www.wikipedia.org
www.unece.org
www.environmenthouse.ch
www.atlapedia.com
www.nationalgeographic.com
<http://mastsavlebeli.ge/?cat=18>